პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 ნოემბერი
ოთხშაბათი
1974
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 277 (16098)

ხუთწლედი—ვადამდე!

თვითეული დღე მხოლოდ დამკვრელურად

ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ახალ მიჯნას მიაღწიეს. მათ ვადამდე, 21 ნოემბრისათვის შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის თერთმეტი თვის გეგმა. ამასთან უზრუნველყოფილია რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის შემდგომი დაჩქარება.

ამან შესაძლებელი გახადა საშუალოდ დღე-ღამეში გადაეზიდათ 3,4 პროცენტით მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ვიდრე 1973 წლის შესაბამის პერიოდში, მნიშვნელოვნად შეემცირებინათ გეგმასთან შედარებით ტვირთზიდვის თვითღირებულება და მიეღოთ ერთნახევარჯერ მეტი მოგება, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

(საქინფორმი).

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელიწადი დამკვრელური შრომით აღნიშნა თბილგვირაბმშენის სამმართველოს (უფროსი ვ. გოცირიძე) კოლექტივმა. მიწისქვეშა მაგისტრალების მშენებლებს ნაკისრი ჰქონდათ წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის გაენაღდებინათ, მაგრამ იგი ამ დღეებში შეასრულეს. მეტრომშენებლობის დავალება განაღდებულია 102 პროცენტით, ბინათმშენებლობისა — 119 პროცენტით. „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით საექსპლოატაციოდ გადაცემულია 21 ობიექტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი ს. ჭურაძე), № 5 საგვირაბო რაზმის (უფროსი ი. ბერიტაშვილი) და № 9 საგვირაბო რაზმის (უფროსი გ. ჯაყელი) კოლექტივები, რომლებმაც ვადამდე დაძლიეს წლიური პროგრამა.

სოციალიზმის, მეგობრობისა და მშვიდობის გზით

საზეიმო სხდომა ულან-ბატორში

ულან-ბატორი, 26 ნოემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს მთავრობის სახლში გაიმართა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50-ე წლისთავს.

დარბაზი საზეიმოდ არის მორთული, სცენის ცისფერ ტილოზე მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გერბი. იქვე წითელ ალამზე გამოყვანილია ორი ღირსშესანიშნავი თარიღი: 1924–1974. ყვავილებშია ჩაფლული ვ. ი. ლენინისა და დ. სუხე-ბატორის სკულპტურული პორტრეტები.

აქ შეიკრიბნენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, დიდი სახალხო ხურალის დეპუტატები, მთავრობის წევრები, პარტიისა და რევოლუციური ბრძოლის ვეტერანები, მონგოლეთის სახალხო არმიის მეომრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მონგოლეთის შრომის მოწინავეები, მეცნიერები.

დარბაზში დამსწრენი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით, შეძახილებით „ვაშა“, „მეგობრობა“, ეგებებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს.

მათთან ერთად პრეზიდიუმში შემოდიან მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, სხვა თვალსაჩინო მონგოლი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. უ. უსუბალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ირკუტსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. ბანიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ელჩი მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ი. სმირნოვი. აქვე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები: სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ა. მ. ალექსანდროვი. პრეზიდიუმში არის აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი.

სხდომას ესწრებიან ულან-ბატორში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, მონგოლი და უცხოელი ჟურნალისტები.

ჟღერს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნი.

მოხსენება „ნახევარი საუკუნე სოციალიზმის გზით“ გააკეთა ი. ცედენბალმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ულან-ბატორი. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავისადმი.
სურათზე: პრეზიდიუმში.

საკდესის ტელეფოტო. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

სადღესასწაულო დარბაზობა

ულან-ბატორი, 26 ნოემბერი. (საკდესი). მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდმა სახალხო ხურალმა და მინისტრთა საბჭომ დღეს საზეიმო დარბაზობა მოაწყვეს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობის და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წევრები, სხვა თვალსაჩინო მონგოლი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, პარტიისა და რევოლუციური ბრძოლის ვეტერანები, მონგოლეთის სახალხო არმიის მხედართმთავრები, შრომის მოწინავენი, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწენი, საბჭოთა სპეციალისტები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

დარბაზობამ გულითად ვითარებაში ჩაიარა.

გვირგვინებით შეამკეს

ულან-ბატორი. 26 ნოემბერი. (საკდესი). მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მშვიდობის პროსპექტზე აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი, იგი ააგეს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი პატივისცემის ნიშნად, რომელმაც მონგოლ ხალხს უჩვენა სოციალისტური განვითარების გზა.

დღეს აქ მოვიდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, მონგოლეთის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ცედენბალის მეთაურობით.

დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის ძეგლი.

შემდეგ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და საბჭოთა დელეგაციის წევრები მონგოლ ამხანაგებთან ერთად მივიდნენ დ. სუხე-ბატორისა და ჰ. ჩოიბალსანის აკლდამასთან და გვირგვინით შეამკეს იგი. გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და სახალხო სახელმწიფოს დამაარსებლებს დ. სუხე-ბატორსა და ჰ. ჩოიბალსანს“.

სუხე-ბატორის მოედანზე იყვნენ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის არატების, მუშების, ინტელიგენციის, შეიარაღებული ძალების ათასობით წარმომადგენილი, მონგოლეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტები. ისინი გულითადად მიესალმნენ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევსა და იუმჟაგიინ ცედენბალს.

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია იყო ზაისანის მთაზე და გვირგვინით შეამკო საბჭოთა მეომრების ძეგლი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სხვა საბჭოთა სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს იმ გმირთა ნათელ ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ ძმური მონგოლეთის თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის ბრძოლაში.

მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ვ. ი. ლენინის ძეგლი, დ. სუხე-ბატორისა და ჰ. ჩოიბალსანის აკლდამა, საბჭოთა მეომრების ძეგლი გვირგვინებით შეამკეს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჟ. ბატმუნხმა, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა, სხვა მონგოლმა პარტიულმა და სახელმწიფო ხელმძღვანელებმა.

გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონიებზე ჩამწკრივებული იყვნენ მონგოლეთის სახალხო არმიის მეომართა საპატიო ყარაულები, შესრულდა სსრ კავშირისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

* * *

26 ნოემბერს მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჰ. ბანზრაგში მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი.

მან გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან.

* * *

იმავე დღეს მონგოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციათა ფედერაციისა და მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის დ. ცევეგმიდის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50-ე წლისთავის ზეიმზე, იყო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და გვირგვინით შეამკო იგი.

მონგოლეთის დელეგაციამ გვირგვინით შეამკო აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის კედელთან. (საკდესი).

ულან-ბატორი, 26 ნოემბერი. მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის ერთობლივი საზეიმო სხდომა, მიძღვნილი მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავისადმი. **სურათზე:** ი. ცედენბალი ლ. ი. ბრეჟნევს გადასცემს „მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის ოქროს ვარსკვლავს“.

საკდესი.

(მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კომუნისტების, ჩვენი ქვეყნის ხალხთა სახელით მხურვალე ამხანაგურ სალამს უთვლის ყრილობის დელეგატებს, რუმინეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს და ნაყოფიერ მუშაობას უსურვებს რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ სოციალისტური მშენებლობის წლებში რუმინეთის მშრომელებმა თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელეს დიდი რევოლუციური გარდაქმნები რუმინეთის მიწაწყალზე. დღევანდელი რუმინეთი — ეს არის ქვეყანა, რომელსაც აქვს განვითარებული მრეწველობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა.

ჩვენ გამოვთქვამთ რწმენას, რომ რუმინელი კომუნისტები, რუმინელი ხალხი აგრეთვე წარმატებით შეასრულებენ ახალ ამოცანებს, რომლებიც პარტიისა და ქვეყნის წინაშე დადგა ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის და კომუნიზმისაკენ წინსვლის საქმეში. რუმინეთის მუშათა კლასის, კოოპერირებული გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომა კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ურთიერთობის განმტკიცება და მჭიდრო თანამშრომლობის გაფართოება, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა სოციალისტური რუმინეთის შემდგომი აყვავების საწინდარია.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე მოძმე პარტიათა და სახელმწიფოთა ერთიანობისა და შეკავშირების გაღრმავება სავსებით შეესაბამება სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ძირეულ ინტერესებს. მოძმე ქვეყნების ერთობლივი მოქმედება ახალი საზოგადოების შექმნასა და სოციალიზმის მონაპოვართა დაცვაში, მათი ინიციატივიანი პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე, კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებასთან და ეროვნული განთავისუფლების ძალების ზრდასთან ერთად, სულ უფრო ძლიერ გავლენას ახდენენ მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებაზე, ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელების პროცესს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმის განუხრელ წინსვლას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უცვლელად იღვწის საბჭოთა და რუმინელი ხალხების, ორი ქვეყნის კომუნისტური პარტიების ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში ღრმა და ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გამოცდილების შესწავლისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ღონისძიებების მჭიდრო კოორდინაციისათვის.

ვუსურვებთ რუმინელ კომუნისტებს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალ დიდ მიღწევებს სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით რუმინეთის ყოველმხრივ განვითარებაში.

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და რუმინეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და რუმინელი ხალხების ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა და სოლიდარობა საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გულწრფელი მადლობა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯერალდ რ. ფორდმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს გამოუგზავნა დეპეშა

დეპეშაში ნათქვამია:

თქვენ და თქვენს კოლეგებს გულწრფელ მადლობას ვუძღვნი გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც თქვენ და ვლადივოსტოკის მცხოვრებლებმა გაგვიწიეთ მე და ჩემს თანმხლებ პირებს. ჩვენი მოლაპარაკება და განსაკუთრებით ჩვენი ერთობლივი განცხადება შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ კვლავ ადასტურებს, რომ შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ერთგულად იცავენ მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. მოველი თქვენთან ამ მუშაობის განგრძობას და მოგესალმებით შეერთებულ შტატებში 1975 წელს. პირადად ჩემი სახელით ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და საბჭოთა კავშირის ხალხს. (საკდესი).

ძმურ, გულითად ვითარებაში

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავის გამო მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ჰ. ბანზრაგჩმა 26 ნოემბერს დარბაზობა გამართა.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. ი. დოლგიხი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის მეგობრობის საზოგადოების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

დარბაზობაზე იყო მონგოლეთის მშვიდობისა და მეგობრობის ორგანიზაციათა ფედერაციის და მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარის, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის დ. ცევეგმიდის მეთაურობით.

სტუმრებს შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში აკრედიტებული საზღვარგარეთის სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

დარბაზობამ ძმურ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაციის ჩამოსვლა

მოსკოვში ჩამოვიდა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე იასირ არაფატი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან პალესტინის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ხალედ ალ-ფაჰუმი, ფარუკ კადუმი, ზუჰეირ მოჰსენი, ნაიფ ჰავატმა, თალალ ნაჯი, ხალედ აბუ სიტა, ფაიკ ვარადი და აჰმედ ალ-აზჰარი.

შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის მოადგილე რ. ა. ულიანოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის განყოფილების გამგე მ. დ. სიტენკო, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ა. ს. ძასოხოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

ზამბიის პრეზიდენტი თბილისიდან გაემგზავრა

26 ნოემბერს თბილისიდან კიევს გაემგზავრნენ ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი კენეტ დ. კაუნდა და მისი თანმხლები ზამბიელი სახელმწიფო მოღვაწეები.

საპატიო სტუმართან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. პ. ვადერი და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი.

აეროპორტში, რომელიც მორთული იყო ზამბიის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, დოქტორი კენეტ დ. კაუნდა გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ვ. ი. ვადაჭკორიამ, ე. მ. ჯაფარიძემ, ო. ე. ჩერქეზიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჟ. კ. შარტავამ.

გამცილებელთა შორის იყვნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჰაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. გ. ახვლედიანი, საქართველოს სსრ მინისტრები, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. ა. თითბერიძე.

ზამბიის რესპუბლიკის მეთაური გააცილეს თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

შეკრებილნი გულთბილად გამოეთხოვნენ საპატიო სტუმარს და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს მას.

გაფრენის წინ დოქტორმა კენეტ დ. კაუნდამ თქვა:

— პირველ რიგში მინდა სულით და გულით მადლობა მოვახსენო მთელ ქართველ ხალხს და უწინარეს ყოვლისა თბილისელებს გულითადი მასპინძლობისათვის, რომელსაც ჩამოსვლის პირველი წუთებიდანვე გვიწევდნენ.

მე და ჩემი კოლეგები ძალზე მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვქონდა საკუთარი თვალით გვენახა თქვენი რესპუბლიკა, გავცნობოდით ქართველი ხალხის წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საქართველოს არსებითი წვლილი შეაქვს საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებში.

ზამბიის პრეზიდენტმა შემდეგ აღნიშნა:

— თუმცა ვერ ვინახულეთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, როგორც ეს გვინდოდა, დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელი დინამიზმი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებსაც ახასიათებს.

შეეხო რა ზამბიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას, დოქტორმა კენეტ დ. კაუნდამ განაცხადა:

— ყოველ ღონეს ვხმარობთ ზამბიისა და სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ეს ურთიერთობა სულ უფრო გულთბილი გახდეს. ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან ვიბრძვით ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც ყველას თანაბარი შესაძლებლობანი ექნება. გვინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან განვავითაროთ იმ დონემდე, როცა ზამბია და საბჭოთა კავშირი მეგობრები იქნებიან ყველა ამინდში, ყოველგვარ პირობებში. ასეთია ჩვენი სურვილი. (საქინფორმი).

ზამბიის პრეზიდენტი კიევში

კიევი. 26 ნოემბერი. (საკდესი). ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი კენეტ დ. კაუნდა დღეს თბილისიდან უკრაინის დედაქალაქში ჩამოვიდა.

ზამბიის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ ბორისპოლის აეროპორტში კენეტ დ. კაუნდასა და მის თანმხლებ ზამბიის სახელმწიფო მოღვაწეებს დახვდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. გრუშეცკი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ვაშჩენკო, სხვა ოფიციალური პირნი, კიევის მშრომელთა წარმომადგენლები.

იმავე დღეს პრეზიდენტი ეწვია უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ს. გრუშეცკის. გაიმართა მეგობრული საუბარი. საპატიო სტუმარს გააცნეს უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში უკრაინის სსრ მშრომელთა წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკების ერთსულოვან ოჯახში მიაღწიეს.

სოციალიზმის, მეგობრობისა და მშვიდობის გზით

ამხანაგ ი. ცედენბალის მოხსენება

რესპუბლიკური მონღოლეთის ნახევარი საუკუნე, თქვა ამხ. ცედენბალმა, მთელი მონღოლი ხალხის ღირსშესანიშნავი იუბილე, მისი თავდადებული ბრძოლისა და გმირული შრომის ზეიმი მონღოლი და საბჭოთა ხალხების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ურღვევი მეგობრობის ზეიმია.

უსაზღვროდ გვახარებს, რომ ჩვენს შორის არის საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მონღოლი ხალხის დიდი და გულწრფელი მეგობრის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით. ეს ჩვენს დღესასწაულს უფრო სასიხარულო, საზეიმო ხასიათს ანიჭებს.

ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, ამ დარბაზში შეკრებილთა და ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის სახელით გულითადად მივესალმო საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნაცად ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს, ერთგულ და მტკიცე მარქსისტ-ლენინელს ძვირფას ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ამხ. ი. ცედენბალი მხურვალედ მიესალმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოსულ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, აგრეთვე საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციას.

საბჭოეთის წარმომადგენელთა სახით, — ხაზგასმით აღნიშნა ი. ცედენბალმა, — მხურვალედ მივესალმებით ლენინის დიად პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებს და ვუსურვებთ ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ჩვენს საიუბილეო ზეიმში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობა კიდევ ერთხელ გამოხატავს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ლენინურ მეგობრობას, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ერთიანობასა და ძმობას. ეს შთამბეჭდავი, ისტორიული მოვლენა ოქროს ფურცლად ჩაიწერება მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მატიანეში. იგი უეჭველად იქნება დიდი წვლილი ჩვენი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის, ერთიანობის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

მონღოლეთის სახალხო რევოლუციის ისტორიაში, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს 1924 წლის აგვისტოში გამართულ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის მე-3 ყრილობას. ამ ყრილობის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე განსაზღვრა მონღოლი ხალხის სოციალური პროგრესის გენერალური პერსპექტივა, აირჩია განვითარების კაპიტალისტური სტადიის გვერდის ავლით ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გზით მონღოლეთის განვითარების კურსი.

მონღოლეთის მშრომელი არატობის და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის კავშირის და მეგობრობის დამყარებისა და განვითარების საქმეში, აღნიშნა მომხსენებელმა, დამაკავშირებელი რგოლი, ხიდი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით.

ჩვენმა გამოცდილებამ ცხადყო — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციის გამარჯვებაც და მისი შემდგომი განვითარების წარმატებებიც წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არ განმტკიცებულიყო მონღოლი და საბჭოთა ხალხების კავშირი და მეგობრობა, სოციალიზმის პირველ ქვეყანას რომ ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება არ გაეწია მშრომელი მონღოლი ხალხისათვის, ცხადყო — სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ძალების კავშირის განმტკიცებას წინათაც და ახლაც უაღრესად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის საერთაშორისო თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა: „ანტიიმპერიალისტური ბრძოლის პერსპექტივებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური სისტემის, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების კავშირის განმტკიცებას“.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება და მისი პირველი კონსტიტუციის მიღება, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი გახდა ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის რთულ და მრავალფეროვან ამოცანათა გადაწყვეტის გზაზე.

ამ გარდამავალი პერიოდის მანძილზე, ხაზი გაუსვა ი. ცედენბალმა, რევოლუცია თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდა ღონისძიებებს, რომ აღმოეფხვრა ხალხის საუკუნოვანი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, მოემზადებინა კაპიტალიზმის გვერდის ავლით სოციალიზმზე თანდათანობით გადასვლის წანამძღვრები.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ ჰიტლერული ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი საბჭოთა კავშირმა შეასრულა, ახალ სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა წარმოშობამ კარგი საერთაშორისო პირობები შექმნა სოციალიზმის მშენებლობას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. გამოიყენა რა ეს ხელსაყრელი პირობები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა 1948 წლიდან შეუდგა სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას. მრეწველობის არსებული დარგების შემდგომი განვითარებისა და ახალი დარგების შექმნის საფუძველზე განუხრელად იზრდებოდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება. მთლიანი სამრეწველო პროდუქცია 1960 წელს 1940 წელთან შედარებით 5,4-ჯერ გაიზარდა.

ინდივიდუალური არატთა მეურნეობების სოციალისტური კოოპერირების დამთავრების შემდეგ მოისპო ყველა სოციალიზმამდელი ეკონომიური წყობა, უზრუნველყოფილი იქნა ქვეყანაში ერთიანი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო განვითარების ახალი პერიოდი — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების პერიოდი. ამ პერიოდის ძირითადი შინაარსია სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება და დამთავრება. უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ შევქმნათ ეკონომიკის ინდუსტრიულ-აგრარული სტრუქტურა, გადავაქციოთ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანად.

მონღოლი ხალხი თავისი პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური დახმარებით განუხრელად აღწევს უმნიშვნელოვანეს წარმატებებს ამ ამოცანის გადაწყვეტაში. ამას მოწმობს უკანასკნელი სამი ხუთწლედის მანძილზე ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკული, სამთამადნო, ლითონდამამუშავებელი, საშენ მასალათა, ხე-ტყის დამამუშავებელი, ტყავის, ფეხსაცმლის, საფეიქრო, ხორცისა და რძის, საფქვავი და სოციალისტური მრეწველობის სხვა დარგების დაჩქარებული განვითარება. მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდები 1961-1973 წლებში გაიზარდა 4,7-ჯერ, ხოლო სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — 2,4-ჯერ. მიმდინარე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში მრეწველობის მთლიანი პროდუქცია გაიზარდა 33,6 პროცენტით, მაშინ როცა პერსპექტიული გეგმა 29,9 პროცენტს ითვალისწინებდა. ყველა სახეობის ტრანსპორტის ძირითადი საწარმოო ფონდები 1973 წელს 35,7-ჯერ გაიზარდა 1940 წელთან შედარებით.

იზრდება მუშათა კლასის რიცხვი, მაღლდება მისი, როგორც ჩვენი საზოგადოების წამყვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალის, როლი და მნიშვნელობა, თქვა ამხ. ი. ცედენბალმა.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პარტიამ და მთავრობამ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

მან აღნიშნა, რომ სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე მონღოლეთში შესრულდა უზარმაზარი მუშაობა, რათა განეხორციელებინათ კულტურული რევოლუცია, რომელმაც ძირეული გარდაქმნები მოახდინა ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის კულტურული სახე, ადამიანთა ყოფა-ცხოვრება და აზროვნება. ახლა ყოველ 10 ათას კაცზე მოდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 2.158 მოსწავლე, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 157 სტუდენტი. ამჟამად რესპუბლიკაში მოსახლეობის ყოველი მეოთხე კაცი სწავლობს რომელიმე სასწავლებელში. ამ მაჩვენებლებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას გაუსწრო.

ფეოდალიზმიდან სოციალიზმზე მონღოლეთის ისტორიული გადასვლის წარმატებით განხორციელება და სოციალისტური მშენებლობის დამთავრების გზით მისი შემდგომი განვითარება შესაძლებელი გახდა სოციალიზმის პირველ ქვეყანასთან — დიდ საბჭოთა კავშირთან ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცების შედეგად, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ი. ცედენბალმა. საბჭოთა კავშირი მუდამ ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ჩვენს ქვეყანას. ეკონომიურ, კულტურულ, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა სახეობათა თანამშრომლობის საქმეში, რაც დიდი ინდუსტრიული სახელმწიფოს და პატარა სახელმწიფოს ძმური თანასწორუფლებიანი ურთიერთობის ჭეშმარიტი ნიმუშია.

მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ყველა მშრომელის სახელით ამხ. ი. ცედენბალმა უღრმესი მადლობა გადაუხადა დიად ლენინურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და მთელ გმირ საბჭოთა ხალხს, რომლებიც მუდმივ, ნამდვილ ძმურ დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასა და მონღოლი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა, რომ დაიწყო მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების თვისებრივად ახალი ეტაპი. მას შემდეგ, რაც 1966 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის დროს დაიდო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება.

მონღოლეთის მშრომელი ხალხი, თქვა ამხ. ი. ცედენბალმა, იყო და ახლაც არის მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, სოციალიზმის ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის წმინდათა წმინდა დროშის უსაზღვროდ ერთგული. ჩვენს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიგვაჩნია, რომ განუხრელად განვამტკიცებდეთ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას, ვაფართოებდეთ და ვაღრმავებდეთ მჭიდრო თანამშრომლობას მათთან პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში.

ჩვენს პარტიას მიაჩნია, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრების საპროგრამო ამოცანების წარმატებით განხორციელება, სხვა მოძმე ქვეყნების ეკონომიურ დონესთან მისი გათანაბრება შეიძლება სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან სულ უფრო მეტი ეკონომიური დაახლოებისა და პოლიტიკური კონსოლიდაციის გზით, მათთან სამეურნეო კავშირურთიერთობის ყოველნაირი გაფართოებისა და გაღრმავების გზით.

დღეს, თქვა ამხ. ი. ცედენბალმა, განსაკუთრებით განმტკიცდა სოციალიზმის, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების პოზიციები, უფრო მჭიდროდ შეკავშირდა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგები, განუზომლად განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერება, რომელიც გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო განვითარების მსვლელობაზე. ამ საქმეში მუდამ გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ და ასრულებენ კომუნისტთა ლენინური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და დიადი საბჭოთა ქვეყანა, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მიზანდასახულად და მტკიცედ იბრძვის მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის გამარჯვებისათვის, გულდაჯერებით უკვალავს კაცობრიობას ნათელი მომავლის გზას. მსოფლიო სოციალიზმის ერთიანობისა და ძლიერების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების შემდგომ განმტკიცებაში უდიდესი დამსახურება მიუძღვის პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სახელთან დაკავშირებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტიების ძმური მეგობრობისა და ნაყოფიერი ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი ზრდა და განმტკიცება.

სიამოვნებას მანიჭებს ამ მაღალი ტრიბუნიდან გაცნობოთ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმმა, რომელიც დიდად აფასებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განსაკუთრებით დიდ დამსახურებას მონღოლი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა დაცვისა და გამრავლების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული და ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი შეკავშირების, მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების საქმეში, გადაწყვიტა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს მიანიჭოს „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის“ მაღალი წოდება და გადასცეს მას „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის ოქროს ვარსკვლავი“.

ლ. ი. ბრეჟნევისათვის „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭება გამოხატავს სიყვარულისა და პატივისცემის გულწრფელ გრძნობას, რითაც მონღოლი ხალხი ეკიდება თავის ერთგულ მეგობარს — გმირ საბჭოთა ხალხს, მის ლენინურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, თქვა ი. ცედენბალმა. ეს აგრეთვე გამოხატავს ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ურღვევი მეგობრობისა და ძმური კავშირის მზარდ ურთიერთობას, გამოხატავს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო მადლობას იმისათვის, რომ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, კეთილშობილურ, ნაყოფიერ საქმიანობას ეწევით ჩვენი პლანეტის ყველა მშრომელი ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ნება მიბოძეთ სულითა და გულით გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ, თქვა მომხსენებელმა, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ახალი დიდი წარმატებები სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის, ქვეყანად მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის, თქვენს დაუცხრომელ, ყოვლისმომცველ საქმიანობაში.

განვლო რა სოციალისტური განახლების ნახევარი საუკუნის გზა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მთელ მსოფლიოს წარმოუდგება როგორც აყვავებული, მშვიდობისმოყვარე სოციალისტური სახელმწიფო. მას ღირსეული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში, ავტორიტეტი და პატივისცემა მოიპოვა მსოფლიოს ხალხებს შორის.

საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთიანობითა და ურთიერთმოქმედებით მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა თანმიმდევრულად ახორციელებს ღრმად ხალხურ, კლასობრივ საგარეო პოლიტიკას, აქტიურად იცავს აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

სოციალიზმის სასარგებლოდ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის შეცვლამ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების აქტიურმა, თანმიმდევრულმა მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ, მათმა შეთანხმებულმა და მიზანდასახულმა ღონისძიებებმა მშვიდობის საკეთილდღეოდ, თქვა შემდეგ ამხ. ი. ცედენბალმა, შექმნა იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ ძირეული გარდატეხა მომხდარიყო საერთაშორისო მდგომარეობაში მისი გაჯანსაღების მიმართულებით, დღეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება მსოფლიო განვითარების განმსაზღვრელი ელემენტი გახდა.

საყოველთაო უშიშროების განმტკიცებისა და მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის აქტივიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის კონსტრუქციული პროგრამა. მშვიდობის პროგრამის წარმატებული რეალიზაციის მეოხებით სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მეცადინეობის შედეგად მიღწეულია დიდი ძვრები ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებაში, თანამედროვეობის მთავარ პრობლემათა გადაჭრაში, რომლებზეც დამოკიდებულია ქვეყნად მშვიდობის ბედი.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომი გაღრმავების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვეობის საკვანძო პრობლემათა გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მდგომარეობაზე, რომელთა პოლიტიკა და მოქმედება უდიდეს გავლენას ახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ახლახან ვლადივოსტოკის რაიონში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის სამუშაო შეხვედრა. ამ შეხვედრის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის წინა მოლაპარაკების შედეგები ხელს უწყობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებას, ატომური ომის საფრთხის შესუსტებასა და გამალებული შეიარაღების შეკავებას.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ სავსებით ვუჭერთ მხარს და მხურვალედ ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობას, მტკიცე, ტიტანურ ღონისძიებებს ქვეყნად მშვიდობისა და სიმშვიდისათვის ლენინური საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად.

თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა აზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ესწრაფვის ნამდვილ მშვიდობას აზიაში, იბრძვის იმისათვის, რომ მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს კონტინენტის უშიშროებას.

საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე პოზიტიური ცვლილებების მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დედამიწის ამ ნაწილში მშვიდობის პერსპექტივა ბევრად გაუმჯობესდა. მთავარი კი ის არის, რომ სავსებით მოვაწესრიგოთ ვითარება მთელ აზიაში, გადავაქციოთ იგი სტაბილური მშვიდობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონტინენტად დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისა და გავრცელების, აზიის სახელმწიფოთა შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცების, კეთილმეზობლური ურთიერთობის ფართო განვითარების გზით. ამ მიზნებს ყველაზე სრულად შეესაბამება საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის საერთო-დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის იდეა. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა იღვწის იმისათვის, რომ ეს პრინციპები კონტინენტის უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმად იქცეს, რომ ძალის გამოყენებაზე უარის თქმის პრინციპი განხორციელდეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში სრულიად აზიის საფუძველზე. კოლექტიური უშიშროებისათვის ბრძოლა ახლა უკვე ქმედითი ფაქტორი ხდება კონტინენტის ცხოვრებაში.

კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის იდეა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ თავისი კონსტრუქციული ხასიათითა და ფართო წრის პრობლემებით ასპარეზს უქმნის აზიის მტკიცე მშვიდობის დამყარებით დაინტერესებული თვითეული სახელმწიფოს ინიციატივას. უკანასკნელ წლებში გამოვლინდა სხვადასხვა იდეა უშიშროების პრობლემის საერთო და ნაწილობრივი გადაჭრის თაობაზე, რომლებიც ბევრი რამით ეხმაურება საბჭოთა იდეას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს კოლექტიურ მეცადინეობასა და ძიებაში, რომელთა მიზანია შეიმუშაონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებები. ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რომ კოლექტიური მშვიდობის დამყარება ერთდროული აქტი როდია. იგი მოითხოვს კონტინენტის ყველა სახელმწიფოს, მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მოთმინებას და მტკიცე ღონისძიებებს.

ამ თვალსაზრისით მივესალმებოდით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც აზიის დიდი სახელმწიფოს, მონაწილეობას აზიის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში. დაძაბულობის შენელების პროცესში, კონტინენტის ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის განმტკიცებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აზიის სხვა სახელმწიფოების აქტიური მონაწილეობით მოიგებდა, უწინარეს ყოვლისა, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმე, განსაკუთრებით აზიაში, სადაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ პეკინის პოლიტიკა და პრაქტიკული მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ომისა და დაძაბულობის მძაფრი კერების შენარჩუნებასა და გაღვივებას, ძირეულად ეწინააღმდეგება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესებს.

ჩინეთის ხელმძღვანელობის ანტისოციალისტურ, ანტიხალხურ კურსს, რომელმაც მთლიანად გაწყვიტა კავშირი მარქსიზმ-ლენინიზმთან, საფუძვლად უდევს დიდმპყრობელური შოვინიზმი და ჰეგემონისტური ზრახვები. ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ პეკინის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მონღოლეთის სუვერენული დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფოს მიმართ.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა განუხრელად იღვწის თავის სამხრეთელ მეზობელთან — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, დიდ ჩინელ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის აღდგენისათვის. ეს ჩვენი პრინციპული პოზიცია განსაზღვრა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVI ყრილობამ, და იგი უცვლელი რჩება.

ჩვენს პარტიასა და მთავრობას თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ დაუცხრომლად განამტკიცებდნენ მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო თანამშრომლობას. ჩვენ დიდ სიფხიზლეს უნდა ვიჩენდეთ მშვიდობისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა მტრული ხრიკების მიმართ, ყოველნაირად ვუწყობდეთ ხელს მთელი ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარე ძალების კონსოლიდაციას.

ჩვენი პარტია ლენინის სახელოვან პარტიასთან — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მოძმე პარტიებთან ერთად დაუცხრომლად იღვწის მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე მათი რიგების შემდგომი შეკავშირებისათვის, ჩვენი პარტია კვლავაც მტკიცედ იბრძოლებს დიადი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდისათვის, იმპერიალიზმის იდეოლოგიური დივერსიის წინააღმდეგ, ანტიკომუნიზმისა და მისი ყველაზე შხამიანი იარაღის — ანტისაბჭოურობის წინააღმდეგ.

ამხ. ი. ცედენბალმა დასასრულ თქვა:

ჩვენი პარტია თავის საქმიანობაში წარმატებებს აღწევს იმის შედეგად, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ურყევად ერთგულია, იმის შედეგად, რომ დღენიადაგ სწავლობს საბჭოთა კავშირის დიადი კომუნისტური პარტიის მსოფლიო-ისტორიულ გამოცდილებას, იმ პარტიის გამოცდილებას, რომელიც [illegible] -ში, გადამწყვეტი წვლილი შეაქვს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს განვითარებაში, მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების განმტკიცებაში, მშვიდობისა და უშიშროებისათვის ხალხთა ბრძოლაში.

ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის ბრძოლაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები იყვნენ და კვლავაც მტკიცედ იქნებიან თავიანთ კლასობრივ ძმებთან — დიდი საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ყველა მებრძოლთან ერთად.

* * *

ი. ცედენბალის მოხსენება შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, მისი მოხსენების დროს გაისმოდა ტაში.

* * *

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. სხდომის მონაწილენი მას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. გაისმის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის სადიდებელი შეძახილები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ცედენბალ!

პატივცემულო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებო!

პატივცემულო დიდი სახალხო ჰურალის დეპუტატებო!

ძვირფასო მეგობრებო!

დღეს ჩვენ შესანიშნავ თარიღს აღვნიშნავთ. ორმოცდაათი წლის წინათ მონღოლმა ხალხმა თავისი რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, გვერდში ამოუდგა საბჭოთა კავშირის ხალხებს ახალი, სოციალისტური ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

თქვენი ნახევარი საუკუნის გამოცდილება რევოლუციური აზრისა და მოქმედების დიდი მონაპოვარია. სწორედ აქ, თქვენს მიწა-წყალზე, ისევე როგორც მთელ რიგ საბჭოთა რესპუბლიკებში, რეალობად იქცა ვ. ი. ლენინის იდეა კაპიტალიზმის სტადიის გაუვლელად სოციალიზმზე გადასვლის შესახებ. ეს არის მონღოლი კომუნისტების, მონღოლი ხალხის უდიდესი წვლილი მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების პროცესში.

ხუთი ათწლეული გავიდა მას შემდეგ, რაც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობამ განსაზღვრა ქვეყნის განვითარების გენერალური კურსი — სოციალიზმის კურსი. ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანას რომ წყვეტდნენ, მონღოლი კომუნისტები მუდამ იჩენდნენ საერთო საქმისათვის მაღალ პასუხისმგებლობას, მხურვალედ იცავდნენ სოციალიზმის ინტერესებს, მის მსოფლიო პოზიციებს.

სავსებით ბუნებრივია, ძვირფასო ამხანაგებო, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს, მარქსისტულ-ლენინური იდეალებისათვის, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლს თქვენი სახელოვანი იუბილე საერთო, ინტერნაციონალურ დღესასწაულად მიაჩნიათ.

ჩვენთვის, საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის, დიდად სასიხარულოა, რომ თქვენთან ერთად ვართ ამ საზეიმო დღეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით, მთელი ჩვენი ხალხის სახელით მხურვალედ და გულითადად მოგილოცავთ მონღოლ ხალხს, მონღოლ კომუნისტებს რესპუბლიკის შექმნის 50-ე წლისთავს.

ჩვენ მივესალმებით სოციალისტური მშენებლობის წამყვან ძალას — მონღოლეთის მზარდ მუშათა კლასს, ყველას, ვინც ავითარებს ინდუსტრიას, ეძებს და სახალხო მეურნეობის სამსახურში აყენებს ბუნებრივ სიმდიდრეებს, ქმნის ქვეყნის ახალ სახეს.

მივესალმებით მონღოლეთის მშრომელ არატობას, ყველას, ვინც ავითარებს სოფლის მეურნეობას, ახალ დონეზე აჰყავს ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციული და მეტად მნიშვნელოვანი დარგი.

ჩვენ მივესალმებით მონღოლ ინტელიგენციას, ყველას, ვინც ავითარებს მონღოლეთის მეცნიერებას, ქმნის ახალ კულტურულ ღირებულებას, ასწავლის და ზრდის მოზარდ თაობას, ვინც ზრუნავს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ესესაა მოვისმინეთ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ცედენბალის უაღრესად შინაარსიანი, მკაფიო, დამაჯერებელი ფაქტებით აღსავსე მოხსენება. თითქოს თვალწინ წარმოგვიდგა ფეოდალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობის დამკვიდრებისათვის, მთელი საზოგადოების ცხოვრების პირობების რადიკალური განახლებისათვის მონღოლი ხალხის ბრძოლის ცოცხალი ისტორია.

მოხსენებიდან ჩანს, რომ თქვენ, ამხანაგებო, განვლეთ — და ამასთან წარმატებითაც განვლეთ — სოციალიზმის მშენებლობის ძალზე დიდმნიშვნელოვანი და, უნდა ითქვას, ყველაზე ძნელი ეტაპი.

ჩვენთვის გასაგებია, რომ მონღოლი კომუნისტები კმაყოფილებით აღნიშნავენ ღრმა ცვლილებებს, რომლებიც ქვეყნის სოფლის მეურნეობაში მოხდა. შრომით კოოპერატივებად გაერთიანებული, ჩამომავლობით მიწის მუშები—არატები ეუფლებიან უახლეს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების თანამედროვე ტექნოლოგიას.

ამასთან ერთად თქვენმა ქვეყანამ მსხვილი სამრეწველო წარმოების განვითარების საკმაო გამოცდილება დააგროვა. თქვენი დღევანდელი სიამაყეა ინდუსტრიული დარხანი, ერდენეტის ახალი სამთო-გამამდიდრებელი კომპლექსი, შარინ-გოლის ქვანახშირის მაღაროები.

და განსაკუთრებით, როგორც სახალხო მონღოლეთის კიდევ ერთი უდიდესი მონაპოვარი, მინდა აღვნიშნო მეცნიერების განვითარება, ეროვნული სოციალისტური კულტურის აყვავება. ქვეყანაში აღიზარდა ინტელიგენციის დიდი რაზმი, რომელიც ხალხის სისხლი და ხორცია. ფართოდ არის ცნობილი მონღოლ მეცნიერთა ბევრი გამოკვლევა, რომელთა მუშაობას წარმართავს და აერთიანებს მონღოლეთის მეცნიერებათა აკადემია. ჭეშმარიტი რევოლუცია მოხდა ჯანმრთელობის დაცვასა და განათლებაში.

როგორ არ უნდა გვიხაროდეს ყველას ეს შესანიშნავი წარმატებები, მონღოლეთის მიწა-წყალზე მომხდარი ეს საოცარი გარდაქმნები!

მონღოლეთის ყველა მეგობარი დიდი პატივისცემითა და ამხანაგური სიმპათიით ეკიდება უდიდეს შემოქმედებითს მუშაობას, რომელიც მონღოლმა კომუნისტებმა გასწიეს. პარტიამ აღზარდა ადამიანთა თაობები, რომლებისთვისაც სოციალიზმი ღვიძლი, საარსებო საქმე გახდა, აღზარდა შეგნებული და საქმიანი ადამიანები, ნამდვილი პატრიოტები და ინტერნაციონალისტები. პარტია იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა თავის ქვეყანასთან ერთად, თავის რიგებში აერთიანებდა მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს. სოციალიზმისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე მისი პოლიტიკა მიზნად ისახავდა ხალხის, მისი ინტერესების სამსახურს. ამ საფუძველზე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც მეთაურობს მონღოლი ხალხის ერთგული შვილი, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ი. ცედენბალი.

ძვირფასო მეგობრებო! დღეს მონღოლეთის ცხოვრების დიდ თარიღს რომ ვზეიმობთ, გულმართლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხები მუდამ და ყველაფერში ცხოვრობდნენ საერთო მისწრაფებებით და, როგორც ძმები, ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენი მეგობრობის მატიანეში ბევრი სახელოვანი ფურცელია. მაგრამ, ისევე როგორც წინათ, ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მოგონება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და სუხე-ბატორის, მონღოლეთის რევოლუციის უშიშარი მებრძოლის ისტორიული შეხვედრის შესახებ. ამ შეხვედრამ მისცა დასაბამი იმ დიდ გზას, რომელიც განვლეთ ერთმანეთის მხარდამხარ.

ყოველთვის გვეხსომება ერთობლივი ბრძოლები მონღოლეთის ველებში ბარონ უნგერნის თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ. ვერ დავივიწყებთ ხალხინ-გოლის გმირულ ეპოპეასაც, როცა საბჭოთა და მონღოლმა მეომრებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იაპონელ მილიტარისტებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელეყოთ მონღოლეთის მიწაწყალი. 1945 წელს ჩვენი ქვეყნების ჯარისკაცები ერთმანეთის მხარდამხარ ანადგურებდნენ იმპერიალისტურ კვანტუნის არმიას, რომელმაც ხელთ იგდო ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, მძლავრი მხარდაჭერა გაუწიეს აზიის ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას.

საბჭოთა ადამიანები თავიანთ მონღოლ ძმებს ეხმარებიან ახალი ცხოვრების აშენებაში. თავის მხრივ მონღოლი ამხანაგებიც გვეხმარებიან. ერთმანეთს იმიტომ კი არ ვეხმარებით, რომ რაიმე ვალად გვაქვს, არამედ უანგაროდ ვუზიარებთ იმას, რაც თვითონაც გვჭირდება. სწორედ ასე იქცეოდნენ საბჭოთა ადამიანები, როცა მონღოლ ხალხს ეხმარებოდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე, მძიმე წლებში.

ასე იქცეოდნენ მონღოლი მეგობრებიც. ეს განსაკუთრებით იგრძნო ჩვენმა ხალხმა მძიმე განსაცდელის ჟამს, დიდი სამამულო ომის წლებში. აი მჭევრმეტყველი ფაქტი. 1943 წელს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლების დროს ფრონტზე ჩამოვიდა მონღოლეთის დელეგაცია მარშალ ჩოიბალსანის მეთაურობით. მან საბჭოთა არმიას გადასცა მონღოლ მშრომელთა მიერ შეკრებილი სახსრებით აშენებული ტანკების კოლონა. ასეთი რამ, ამხანაგებო, დაუვიწყარია!

საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობა ახლა მთელ მსოფლიოს წარმოუდგება როგორც ნიმუში სოციალისტური ტიპის ურთიერთობისა, რომელიც გამსჭვალულია ერთმანეთის წარმატებათა საერთო სურვილით.

თანასწორუფლებიან მოკავშირეობას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ 1921 წლის ლენინისეულმა ხელშეკრულებამ. კეთილი სიტყვით ვიგონებთ 1936 წლის ოქმს ურთიერთდახმარების შესახებ, 1946 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით მე წილად მხვდა პატივი 1966 წელს აქ, ულან-ბატორში, ამხანაგ ცედენბალთან ერთად ხელი მომეწერა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისათვის, რომელიც საიმედოდ ემსახურება როგორც ჩვენი ქვეყნების ფართო სამეურნეო ურთიერთობას, ისე სოციალისტური მონღოლეთის საზღვრების ხელშეუვალობას და აზიაში მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ინტერესებს.

ძვირფასო ამხანაგებო! შემიძლია გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ძმური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს მუდამ დიდ ყურადღებას უთმობენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და საბჭოთა მთავრობა. მონღოლ ხალხთან — სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენს უძველეს თანამებრძოლთან მეგობრობა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის ღირსების საქმე და ინტერნაციონალური მოვალეობაა.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სსრ კავშირისა და მონღოლეთის მოძმე ხალხთა მჭიდრო კავშირურთიერთობა მდიდარი და მრავალფეროვანია, იგი ხორცშესხმულია ათასობით კონკრეტული, დიდი თუ პატარა საქმეებით.

ურღვევი ამხანაგური კავშირი აერთიანებს ჩვენს ორ პარტიას, ახალი ცხოვრების მშენებლობის გამოცდილების გაზიარება, თანამშრომლობა იდეოლოგიური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებში, მოქმედების კოორდინაცია საერთაშორისო ასპარეზზე — ყოველივე ეს დიდი ხანია ჩვენთვის ცხოვრების ბუნებრივ ნორმად იქცა. პროფკავშირთა, ქალთა, ახალგაზრდათა და სხვა მასობრივი ორგანიზაციების რეგულარულ კონტაქტებსა და თანამშრომლობას მოჰყვა ის, რომ ჩვენი ქვეყნების ათეულ ათასობით მშრომელთ მუდმივი ცხოველი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, რითაც განამტკიცებენ ჩვენი მეგობრობის უღრმეს ფესვებს.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე რომ ვლაპარაკობ, არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთ-ერთი მათგანი, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში. მხედველობაში მაქვს მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება. მოხარული ვარ გაცნობოთ, ამხანაგებო, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ეს საზოგადოება ხალხთა მეგობრობის ორდენით დააჯილდოვა.

ეს ჯილდო სიმბოლურად გამოხატავს ჩვენს პატივისცემასა და მადლიერებას მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მოქალაქისადმი, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ძმური თანამშრომლობა კიდევ უფრო ღრმა და მრავალმხრივი ხდებოდეს. გულითადად ვულოცავთ, ამხანაგო მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელებო და აქტივისტებო!

და, რა თქმა უნდა, უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას. ეს ურთიერთობა სულ უფრო აქტიურად ვითარდება. ამაზე მკაფიოდ და დამაჯერებლად ილაპარაკა აქ ამხანაგმა ცედენბალმა. განუხრელად იზრდება ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მოცულობა. ახლა თქვენგან ვიღებთ არა მარტო თქვენი მეცხოველეობის ტრადიციულ პროდუქციას — ხორცს, მატყლსა და სხვ., არამედ თქვენი ახალი სამრეწველო საწარმოების ნაკეთობებსა და ზოგიერთი სახეობის ძვირფას მინერალებს. ჩვენი მხრივ ვცდილობთ, რამდენადაც შესაძლებელია, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნილებანი სამრეწველო მოწყობილობაზე, სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, ავტომობილებზე, მასობრივი მოთხოვნილების საქონელზე. საბჭოთა კავშირი ეხმარება მონღოლეთს ყამირი მიწების ათვისებაში, მეცხოველეობის მსხვილი მეურნეობების, თანამედროვე ფაბრიკა-ქარხნების, ახალი საცხოვრებელი რაიონების მშენებლობაში.

ჩვენი პარტია და მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი ხელმძღვანელობენ იმით, რომ დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს მოძმე მონღოლეთის ეკონომიურ განვითარებას, ხელს შეგიწყობთ უფრო წარმატებით გადაწყვიტოთ ქვეყნის წინაშე მდგომი სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისა და მონღოლ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.

როგორც აქ უკვე აღნიშნა ამხ. ცედენბალმა, თქვენს ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან ერთად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში შრომობს საბჭოთა სპეციალისტების დიდი ჯგუფი. მონღოლ ამხანაგთა შეფასებით, ისინი კეთილსინდისიერად, დიდი უკუგებით მუშაობენ. ვსარგებლობ რა შემთხვევით, ვუსურვებ ჩემს თანამემამულეებს, რომლებიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით მოძმე მონღოლეთში იმყოფებიან, კვლავაც პირნათლად ასრულებდნენ ინტერნაციონალისტურ მისიას, რომელიც ჩვენმა პარტიამ დააკისრათ.

თავის მოხსენებაში ამხ. ცედენბალმა ყურადღება დაუთმო საწარმოო კოოპერაციის პრობლემას და ჩვენი ქვეყნების შემდგომ ეკონომიურ დაახლოებას. ეს ნამდვილად დიდი და საჭირო საქმეა. ერთიანი რიტმით მუშაობა, უეჭველია, საერთო სარგებლობას მოგვიტანს.

სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება თქვენი ქვეყნის საქმიანობას ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში, მის მონაწილეობას სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსურ პროგრამაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოძმე ქვეყნებთან თანამშრომლობის ახალი ფორმები ხელს შეუწყობენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას უფრო ეფექტიანად გამოიყენოს თავისი შინაგანი რესურსები, მიაღწიოს მოწინავე მიჯნებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ამხანაგებო! როგორც საბჭოთა, ისე მონღოლ კომუნისტებს თავიანთ უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. ამას ისახავენ მიზნად ჩვენი XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი, ასეთივე მიმართულება აქვთ თქვენი XVI ყრილობის გადაწყვეტილებებსაც.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ყოველივე დასახულის განხორციელებას!

ამხანაგებო! ჩვენი ხალხის საქმეებს საკმაოდ კარგად იცნობთ. თქვენი პრესა, რადიო, ტელევიზია მეგობრულად ფართოდ და ობიექტურად აშუქებენ საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველა მხარეს. ეს მათავისუფლებს იმისაგან, რომ დაწვრილებით ვილაპარაკო ამ თემაზე, ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენში სამუშაოთა მოცულობა დიდი და მრავალფეროვანია, და საბჭოთა ადამიანები დაძაბულად შრომობენ, რათა ღირსეულად შეასრულონ მიმდინარე ხუთწლიანი გეგმა.

(დასასრული მე-3 გვ.).

სოციალიზმის, მეგობრობისა და მშვიდობის გზით

(დასასრული)

საბჭოთა ხალხი ერთიანია, იგი მჭიდროდ არის შეკავშირებული თავისი კომუნისტური პარტიის გარშემო. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებს ქალაქისა და სოფლის მშრომელები ახალი შრომითი ინიციატივებით უპასუხებენ. მასობრივმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ მთელი ქვეყანა მოიცვა. ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე, საბჭოთა ქვეყნის მთელ უზარმაზარ სივრცეებზე საბჭოთა ადამიანებს გაჩაღებული აქვთ ერთსულოვანი მუშაობა.

ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს შეგნებული აქვთ თავიანთი ისტორიული პასუხისმგებლობა კომუნისტური მშენებლობის დიადი საქმისათვის. და დარწმუნებული გახლავთ, ამხანაგებო, რომ საბჭოთა ადამიანები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ხორცი შეასხან მაღალ იდეალებს, რომლებისთვისაც მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლებისთვისაც იბრძვის ჩვენი პარტია, ცხოვრობს და შრომობს მთელი საბჭოთა ხალხი!

ახლა ნება მიბოძეთ, პატივცემულო ამხანაგებო, მოკლედ შევეხო საერთაშორისო საქმეებს. თქვენ, ჩვენო ახლო მეზობლებო, მეგობრებო და მოკავშირეებო, კარგად იცით საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული ლენინური საგარეო პოლიტიკის პრინციპები, მიზნები და მთავარი მიმართულებანი. ისინი საკმაოდ სრულად არის ჩამოყალიბებული ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, საბჭოთა სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში, საბჭოთა ხელმძღვანელების გამოსვლებში.

ჩვენი საგარეო პოლიტიკა — ეს არის მტკიცე ბრძოლა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, ყოველგვარი იმპერიალისტური აგრესიისა და დიქტატის წინააღმდეგ, ხალხთა უფლებების შებღალვის წინააღმდეგ, სამართლიანი, დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნისათვის.

და ჩვენ გულწრფელად გვახარებს, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის, ყველა მოძმე სოციალისტური სახელმწიფოს მხარდამხარ მიდის სახალხო მონღოლეთი. მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას ღირსეული წვლილი შეაქვს მოძმე ქვეყნების შეთანხმებული საგარეოპოლიტიკური კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში. მის ხმას საერთაშორისო ასპარეზზე ახლა წონა და ავტორიტეტი აქვს, რადგან ეს არის მშვიდობისა და სამართლიანობის ხმა.

მე მინდა, ამხანაგებო, შევეხო აქ ერთ საკითხს, რომელიც არ შეიძლება საყურადღებო არ იყოს სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, როგორც ისეთი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ათასნაირად არიან დაკავშირებულნი აზიის კონტინენტის ქვეყნების ცხოვრებასთან, საქმეებთან, ინტერესებთან და ბედთან.

როგორია აზიის კონტინენტზე მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების საიმედო, სწორი მარშრუტი — აი საკითხი, რომელიც ეხება ცალკე თვითეული ქვეყნისა და მთლიანად ყველა ქვეყნის ინტერესებს.

ხალხთა გათიშვისა და ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრების იმპერიალისტური პოლიტიკა გრძელდება ახლაც, თუმცა მისი გარეგნული ფორმები იცვლება. კოლონიზატორთა უწინდელმა ბატონობამ ზოგან აზიის მიწაწყალზე დატოვა ეროვნული და რელიგიური შუღლის, უნდობლობისა და ურთიერთეჭვიანობის გადმონაშთები. როგორც ძველად ამბობდნენ, „მკვდარი ცოცხალს ებღაუჭებაო", წარსულის ეს ცუდი გადმონაშთებიც ხელს უშლიან აზიის ზოგიერთ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალურ, ჯანსაღ განვითარებას.

მაგრამ ყოველივე ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აზიის ქვეყნებს არ ჰქონდეთ საერთო ინტერესები, რომ აზიის ხალხებს არ შეეძლოთ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა. პირიქით, ამხანაგებო, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ დადგება დრო, როცა აზიის ხალხები იცხოვრებენ მშვიდობისა და კეთილმეზობლობის კანონებით!

ერთობლივი მეცადინეობის საფუძველზე აზიის მშვიდობისა და უშიშროების იდეა სრულიადაც არ არის ახალი იდეა. აზიის სახელმწიფოებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავიანთი ისტორიული გამოცდილებით, უკვე არაერთხელ წამოუყენებიათ ურთიერთობის ისეთი პრინციპები და ნორმები, რომლებზეც დაყრდნობა შეიძლება ხალხთა მშვიდობიანი, ჯანსაღი ურთიერთობის დამყარების დროს.

ორმოცდაათიან წლებში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები ოფიციალურად ცნეს ინდოეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აზიის მთელი რიგი სხვა ქვეყნების მთავრობებმა. აზიისა და აფრიკის გადაქცევა მშვიდობისა და თანამშრომლობის კონტინენტებად, ასეთი იყო ბანდუნგის 1955 წლის ისტორიულ კონფერენციაზე მიღებული 10 პრინციპის აზრი. აზიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდმნიშვნელოვანი ინიციატივები გამოიჩინეს უკანასკნელ წლებში ქვეყნებმა, რომლებიც ახორციელებენ მიუმხრობლობის პოლიტიკას, კერძოდ თავიანთ მეოთხე კონფერენციაზე ალჟირში. შეიძლება მოვიხსენიოთ ასეთივე ხასიათის ბევრი სხვა კონსტრუქციული წინადადებაც.

ამრიგად, კოლექტიური მეცადინეობით აზიის უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფის იდეა ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკური გამოცდილებისა და ძიების ნაყოფია. იმისათვის, რომ ეს იდეა განხორციელდეს, საჭიროა ბევრმა სახელმწიფომ გადადგას მტკიცე, თანმიმდევრული პრაქტიკული ნაბიჯები, ყურადღებით გაითვალისწინოს ბევრი სხვადასხვა აზრი და პოზიცია.

როგორც დიდ მდინარეებს ქმნიან ათობით პატარა მდინარე, ასობით შენაკადი და ნაკადული, ისევე საერთაშორისო პოლიტიკაშიც ნამდვილად დიდი საქმე ხშირად ბევრი ცდის, ბევრი — დიდი და პატარა — ინიციატივის შედეგია, რომლებიც ერთიანდებიან ერთ მძლავრ ნაკადად.

აზიაში მტკიცე მშვიდობის გზაზე ყველაზე მომწიფებული და გადაუდებელი ამოცანაა, რა თქმა უნდა, ომის ჯერ კიდევ მოგიზგიზე თუ მბჟუტავი კერების სრული ლიკვიდაცია, კონტინენტის მთელ რიგ რაიონებში პოტენციური ომის საფრთხის აღმოფხვრა. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ მოითხოვს ვიეტნამის შესახებ პარიზის შეთანხმების თანმიმდევრულ რეალიზაციას, კამბოჯაში ომის შეწყვეტას, ამ ქვეყნის პატრიოტული ძალების ძირეული მისწრაფებების შესაბამისად, უცხოეთის ჯარების გაყვანას სამხრეთ კორეიდან და მხარს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კორეის მშვიდობიან, დემოკრატიულ გაერთიანებას.

ამავე მიზნით ჩვენ სრული გაგებით და მოწონებით ვეკიდებით კონსტრუქციულ ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებენ ინდოეთი, პაკისტანი და ბანგლადეშის რესპუბლიკა სამხრეთ აზიაში ვითარების შემდგომი ნორმალიზაციისა და აქ ნამდვილი კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარების ინტერესებისათვის. და ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, ამხანაგებო, რომ ყველა ამ საკითხში საბჭოთა კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ერთსულოვანი არიან და მოქმედებენ ერთი მიმართულებით, როგორც ეს ნამდვილ მეგობრებსა და ძმებს შეეფერებათ!

აზიის ქვეყნების უშიშროების უზრუნველყოფასთან უთუოდ უშუალოდ დამოკიდებულია ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის მოწესრიგების, ამ მნიშვნელოვან რაიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარების მტკივნეული ამოცანა.

ამ დროს კი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში არათუ არ უმჯობესდება, არამედ, პირიქით, სულ უფრო საშიში ხდება. ამას ხელს უწყობს ისრაელის გამომწვევი, პროვოკაციული პოლიტიკა, რომელიც გარედან აშკარა მხარდაჭერით მოურიდებლად უწევს საბოტაჟს მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეს. საბჭოთა კავშირის თვალსაზრისი კარგად არის ცნობილი: ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობის მიღწევის ერთადერთი საიმედო გზაა 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული მიწების სრული განთავისუფლება, პალესტინის არაბი ხალხის საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნის, თვითგამორკვევის კანონიერი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე ახლა კონფლიქტის სფეროში ჩათრეული ყველა სახელმწიფოს უშიშროებისა და დამოუკიდებლობის საიმედო და ავტორიტეტული გარანტია.

ყოველივე ეს შეიძლება და კიდევაც უნდა იქნას მიღწეული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამისათვის სპეციალურად შექმნილი ჟენევის საზავო კონფერენციის ფარგლებში. მისი მუშაობის რაც შეიძლება მალე განახლებას ვუჭერთ და დავუჭერთ მხარს მეგობარ არაბულ სახელმწიფოებთან ერთად. მიგვაჩნია, რომ რაბატში ამას წინათ გამართული არაბული ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენციის გადაწყვეტილებანი მეტად კონსტრუქციულია და განამტკიცებენ არაბული სამყაროს ერთიანობასა და პალესტინელი არაბების პოზიციებს.

ყველას, ვისაც ეს შეეხება, ერთხელ კიდევ ვუცხადებთ: საბჭოთა კავშირი იყო, არის და კვლავაც დიდად დაინტერესებული იქნება, რომ რაც შეიძლება სწრაფად, მტკიცედ და სამართლიანად გადაწყდეს მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი ახლო აღმოსავლეთში. ამისათვის მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან, ჩვენს არაბ მეგობრებთან — ეგვიპტესთან, სირიასთან, ერაყთან, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, ალჟირთან, იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, კონტაქტითა და ურთიერთმოქმედებით ვიბრძოლებთ, სხვა იმ სახელმწიფოებთან კონტაქტითა და ურთიერთმოქმედებით, რომლებსაც გულწრფელად სურთ შეიტანონ წვლილი საყოველთაო მშვიდობისათვის ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მიზნის მიღწევაში.

აზიაში უშიშროების უზრუნველყოფის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია აზიის სახელმწიფოებს შორის კეთილი და მტკიცე ორმხრივი ურთიერთობის დამყარება და განვითარება. და ჩვენ შეგვიძლია ალალი გულით ვთქვათ, რომ ამ საქმეშიც როგორც საბჭოთა კავშირს, ისე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას კარგი წვლილი შეაქვთ.

ჩვენ სსრ კავშირში დიდად ვაფასებთ აზიის ქვეყნებთან: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკასთან, ჩვენს დიდ მეგობარ ინდოეთთან, ავღანეთთან, ბირმასთან და შრი ლანკასთან, ბანგლადეშთან და პაკისტანთან, იაპონიასთან, ირანთან და თურქეთთან და დედამიწის ამ უდიდესი კონტინენტის სხვა სახელმწიფოებთან დამყარებულ კარგ ურთიერთობას. ჩვენ ვცდილობთ და კვლავაც ვეცდებით განვავითაროთ და გავაღრმავოთ ეს ურთიერთობა ყველა მხარისათვის ხელსაყრელ საფუძველზე და მშვიდობის საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, არ არსებობს მაგიური საშუალებანი, რომლებიც ერთი დაკვრით გადაწყვეტდნენ აზიის კონტინენტის ყველა პრობლემას. მაგრამ როცა უკან რჩება ძველი კონფლიქტები, როცა მტკიცდება აზიის სახელმწიფოთა მეგობრული ურთიერთობა, როცა მყარდება ორმხრივი, ზოგჯერ კი მრავალმხრივი თანამშრომლობა აღმშენებლობითი მიზნით, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სწორედ ეს არის ის ელემენტები, რომლებითაც იგება მშვიდობის მტკიცე შენობა აზიის მიწაწყალზე.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ამ პროცესში ღირსეული მონაწილეობა მიეღო აზიის ისეთ დიდ სახელმწიფოსაც, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სამწუხაროდ, როგორც თქვენ კარგად იცით, ამხანაგებო, პეკინის ახლანდელი პოლიტიკური კურსი ეწინააღმდეგება დაძაბულობის შენელების ტენდენციას.

თავის მხრივ საბჭოთა კავშირი დღენიადაგ ესწრაფვის, რომ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. ჩვენი ხაზი, სკკპ XXIV ყრილობის ხაზი, უცვლელი რჩება. ჩინეთის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მიმართ, ჩვენ მტკიცედ ვადგავართ თანასწორუფლებიანობის პატივისცემის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეში ჩაურევლობის, ძალის გამოუყენებლობის პრინციპებს. ჩვენ მზად ვართ აღვადგინოთ მეგობრობა და თანამშრომლობა ჩინელ ხალხთან, რომელსაც საბჭოთა ადამიანები მუდამ გულწრფელი პატივისცემით ეკიდებოდნენ და ახლაც ეკიდებიან.

ერთი შეხედვით, თითქოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებსაც სურთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაცია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთმანეთს შორდება.

ფაქტიურად პეკინი წინასწარ პირობად, არც მეტი, არც ნაკლები, აყენებს მოთხოვნას, რომ საბჭოთა კავშირმა გაიყვანოს სასაზღვრო დაცვა ჩვენი ტერიტორიის მთელი რიგი უბნებიდან, რომლებზეც ჩინეთის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს პრეტენზიები წამოგვიყენონ, ამიტომ მათ ახლა უწოდებენ „სადავო რაიონებს". და პეკინი აშკარად აცხადებს, რომ დათანხმდება სასაზღვრო საკითხებზე მოლაპარაკებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილებული იქნება მისი მოთხოვნა ეგრეთწოდებული „სადავო რაიონების" შესახებ.

სავსებით ცხადია, რომ ამგვარი პოზიცია აბსოლუტურად მიუღებელია, და ჩვენ მას უარვყოფთ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ არავითარ წინასწარ პირობას არ ვაყენებთ ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ჩინეთის მხარეს უკვე დიდი ხანია ვთავაზობთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, დავიწყოთ საქმიანი და კონკრეტული მოლაპარაკება. ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ სხვის არავითარ ტერიტორიაზე, და ამ თვალსაზრისით ჩვენთვის არავითარი „სადავო რაიონი" არ არსებობს. ჩვენ, როგორც ცნობილია, წინადადება მივეცით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დავდოთ ხელშეკრულება, რომ თავს არ დაესხმებიან ერთმანეთს, არ გამოიყენებენ ერთიმეორის წინააღმდეგ რაიმე სახეობის იარაღს, კერძოდ ჩვეულებრივ რაკეტულ და ატომურ იარაღს.

ასეთია ჩვენი პოზიცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის აქტუალურ საკითხებში. და არ ვკარგავთ იმედს, რომ საღი აზრი და სახელმწიფოების, მათ შორის აგრეთვე თვით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ძირეული ინტერესები გაიმარჯვებენ, და ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის ნამდვილი ნორმალიზაციის საქმე, ბოლოს და ბოლოს, ადგილიდან დაიძვრება.

ამხანაგებო! საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებული შენელების პირობებში სულ უფრო ნათლად და ფართოდ ვლინდება ხალხების მისწრაფება ომის საფრთხის თავიდან აცილებისადმი, ნამდვილად მტკიცე მშვიდობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისადმი. ამ მიმართულებით მოძრაობა მოითხოვს შეუპოვარ პოლიტიკურ ბრძოლას ბევრი ბუნებით აგრესიული ან უბრალოდ ვიწროდ მოაზროვნე წრეების წინააღმდეგობის დასაძლევად. მაგრამ, ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის მძლავრი ტენდენცია მაინც იკვლევს გზას.

სავსებით გასაგები მიზეზების გამო ამასთან დაკავშირებით დიდ როლს ასრულებს ისეთი ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის მდგომარეობა, როგორიც არიან სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები. ვახორციელებთ რა მშვიდობის პროგრამას, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ დაამტკიცა, ბოლო წლებში მივაღწიეთ სერიოზულ ცვლილებებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების, სხვადასხვა სფეროში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. ამან უკვე უეჭველად სარგებლობა მოუტანა მთლიანად საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღების საქმეს.

ამ დღეებში, როგორც მოგეხსენებათ, ვლადივოსტოკის რაიონში გაიმართა ჩვენი პირველი შეხვედრა პრეზიდენტ ფორდთან. ამ შეხვედრის დროს, რომელმაც კარგი, კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა, კვლავ დადასტურდა და განვითარდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების კურსი, რაც უკანასკნელ წლებში დაისახა. ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით ჩვენ საშუალება გვქონდა პრეზიდენტთან ერთად განგვეხილა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის, მისი შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების პრინციპული საკითხები. ამასთან გარკვეულად დადასტურდა გადაწყვეტილება ვიმოქმედოთ ისე, რომ ამ ურთიერთობის განვითარება სულ უფრო ეფექტიანად ემსახურებოდეს ისტორიული ამოცანის გადაწყვეტას: თავიდან ავიცილოთ კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, განვამტკიცოთ საყოველთაო მშვიდობა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ მოლაპარაკებაში დიდი ადგილი დაიკავა ორივე ქვეყნის რაკეტულ-ატომური შეიარაღების შეზღუდვის, შემდეგ კი შემცირების ახალ ურთიერთმისაღებ შესაძლებლობათა ძიებამ. და შეიძლება, ამხანაგებო, დარწმუნებით ითქვას, რომ ამ მხრივ ვლადივოსტოკის შეხვედრაზე არსებითი ნაბიჯი გადაიდგა წინ.

ჩვენ პრეზიდენტ ფორდს შევუთანხმდით, რომ უახლოეს თვეებში დამთავრდება მუშაობა ამ საკითხის გამო შეთანხმებაზე, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ხალხების, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის.

ზემოთქმულის მიხედვით გასაგებია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ახალი შეხვედრის შედეგებმა ფართო დადებითი გამოხმაურება ჰპოვა არსებითად მთელ მსოფლიოში. ამას დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რადგან ასეთი გამოხმაურება მიგვაჩნია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის იმ პოლიტიკის მძლავრ საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერად, რომელსაც ჩვენი პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ახორციელებენ.

ძვირფასო მეგობრებო! დღევანდელმა შესანიშნავმა დღესასწაულმა, მონღოლეთის მშრომელებთან, მონღოლეთის ხელმძღვანელებთან ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ მოგვცა შესაძლებლობა შეგვეგრძნო მეგობრობისა და ძმობის ის გულითადი ატმოსფერო, რომელიც მტკიცედ ბატონობს ჩვენს ურთიერთობაში. დიდ მადლობას მოგახსენებთ მასპინძლობისათვის, ჩვენი პარტიისა და ხალხის მიმართ ნათქვამი კეთილი სიტყვებისათვის.

ნება მიბოძეთ აგრეთვე დიდი მადლობა მოვახსენო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმსა და მთავრობას დიდი პატივისათვის, რომელიც დამდეს, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. თქვენი ხელმძღვანელი ორგანოების ეს გადაწყვეტილება მიმაჩნია, უწინარეს ყოვლისა, სახალხო მონღოლეთთან მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის იმ პოლიტიკის მაღალ შეფასებად, რომელსაც მუდამ ახორციელებდნენ და ახორციელებენ ჩვენი ლენინური პარტია და ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო. რაც შემეხება პირადად მე, შემიძლია აღგითქვათ, ძვირფასო მეგობრებო, რომ მუდამ ვიქნები საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარებისათვის აქტიური მებრძოლი.

როცა ვფიქრობ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ურთიერთობის მომავალზე, ხვალინდელ დღეზე, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ კვლავაც ერთად დაუცხრომლად ვიმუშავებთ საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი დიადი სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩვენ კვლავაც ერთად ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ქვეყნად გაიმარჯვოს მშვიდობისა და კეთილმეზობლობის პრინციპებმა, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში საიმედოდ იყოს უზრუნველყოფილი ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებელი განვითარების წმიდათაწმიდა უფლება.

გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებებსა და ბედნიერებას!

გაუმარჯოს მონღოლ ხალხს, რომელიც გულდაჯერებით მიდის წინ სოციალიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

გაუმარჯოს მონღოლეთის მშრომელთა სახელოვან ავანგარდს — მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობასა და კომუნიზმს!

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა შეკრებილებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა ხანგრძლივი ტაში.

ბოლო სიტყვებს შეკრებილნი შეხვდნენ ფეხზე ამდგარნი, მქუხარე, მხურვალე ოვაციით. შეკრებილნი ერთხმად გაიძახოდნენ: „მარად საბჭოთა კავშირთან ერთად!", „მეგობრობა!", „ვაშა!").

* * *

დარბაზში გაისმა ხანგრძლივი ტაში, როცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა მთავრობამ დელეგაციას დაავალეს მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავის აღსანიშნავად მონღოლ ხალხს გადასცეს საბჭოთა მოქანდაკის ვ. მუხინას ქანდაკების „მუშისა და კოლმეურნის" საავტორო პირი.

ერთობლივ შრომაში, ხაზი გაუსვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, განმტკიცდა ჩვენი ძმური ყოველმხრივი თანამშრომლობა. ჩვენ მივაღწევთ, ამხანაგებო, ახალ გამარჯვებებს მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეალებისათვის ბრძოლაში!

ამ სიტყვებს დარბაზში დამსწრენი ფეხზე ამდგარი მქუხარე ოვაციით ხვდებიან, ისინი ერთხმად გაიძახიან: „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!", „მონღოლეთის სახალხო-რევოლუციურ პარტიას!", „ვაშა!".

გაისმა ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ლენინ!", „მეგობრობა!", როცა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ამხანაგ ი. ცედენბალს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისასალმებელი წერილი მონღოლეთის ხელმძღვანელებისადმი მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის III ყრილობის 50 წლისთავისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 50 წლისთავის გამო.

მე, თქვა შემდეგ ამხ. ი. ცედენბალმა, წილად მხვდა დიდი პატივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადავცე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის ოქროს ვარსკვლავი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის სიგელი მისთვის „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის" მაღალი წოდების მინიჭების შესახებ. ეს ჯილდო მას მიენიჭა თვალსაჩინო დამსახურებისათვის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მონაპოვართა დაცვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხების ძმური მეგობრობისა და მჭიდრო ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემდგომი შეკავშირების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეში.

დარბაზში დამსწრენი ფეხზე დგებიან და მქუხარე ოვაციას მართავენ, როცა ამხ. ი. ცედენბალი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს გადასცემს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის ოქროს ვარსკვლავსა და სიგელს, მხურვალედ ეხვევა ლეონიდ ილიას-ძეს.

ამხანაგმა ი. ცედენბალმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობისათვის, საზეიმო სხდომაზე მკაფიო და შთამაგონებელი სიტყვისათვის, გულთბილი და გულში ჩამწვდომი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისადმი, მთავრობისადმი, მთელი მონღოლი ხალხისადმი.

მან გულითადი მადლობა უძღვნა აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოებისათვის.

ჩვენ, თქვა დასასრულ ამხ. ი. ცედენბალმა, აღვუთქვამთ ყველა ერთგულ მეგობარსა და მოკავშირეს, რომ მონღოლი ხალხი თავისი პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც ივლის მზიანი მომავლისაკენ დიდ საბჭოთა ხალხთან, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან, ყველა თავის კლასობრივ ძმასთან მეგობრობის, ერთიანობისა და შეკავშირების ნაცადი გზით, იმ გზით, რომელიც დიდმა ლენინმა გვიჩვენა.

საზეიმო სხდომის დასასრულს შესრულდა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის შემდეგ მეგობრობის სახლში გაიმართა მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა. ეს ჯილდო მას მიენიჭა დიდი დამსახურებისათვის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და განვითარებაში.

მაღალი ჯილდო საზოგადოებას გადასცა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ს. ლუვსანმა.

* * *

საზეიმო სხდომის შემდეგ მეგობრობის სახლში გაიმართა მონღოლეთის ხელოვნების ოსტატთა დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები.

დარბაზში დამსწრენი გულითადად მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ბრეჟნევსა და ი. ცედენბალს.

მსოფლიო დღეს

მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ

ვლადივოსტოკის რაიონში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის სამუშაო შეხვედრის შედეგები საზღვარგარეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები ყველაზე თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომუნიკესა და ერთობლივ განცხადებას, სიტყვებს, რომლებიც სადილის დროს წარმოთქვეს ლ. ი. ბრეჟნევმა და ჯ. ფორდმა, შეხვედრის სხვადასხვა მომენტის ამსახველ ფოტოსურათებს. ვლადივოსტოკიდან, მოსკოვიდან, ვაშინგტონიდან და სხვა ქვეყნების დედაქალაქებიდან კორესპონდენტთა მიერ გამოგზავნილ ინფორმაციებში, გაზეთების კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა ნაყოფიერი იყო, რომ შეხვედრის დროს მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

„**ნიუ-იორკ ტაიმსი**" აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატები მიესალმება ლ. ი. ბრეჟნევისა და ჯ. ფორდის მოლაპარაკების შედეგებს და წერს, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი განცხადება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის საკითხზე „ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობაში მას შემდეგ, რაც 1972 წლის 26 მაისს დაიდო დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთი ღონისძიების შესახებ".

„**ვაშინგტონ პოსტის**" აზრით, ვლადივოსტოკის მოლაპარაკება „დიდი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელიც ალაგმავს გამალებულ შეიარაღებას".

„ორმხრივი ურთიერთობის განვითარებაში დიდ წვლილზე", „ყველა ხალხის ინტერესებისათვის გამართულ დიალოგზე" წერენ ბულგარეთის გაზეთები.

„ორი ქვეყნისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის", „კონსტრუქციული და სასარგებლო მოლაპარაკება", „დაძაბულობის შენელება მყარია", — ასე ახასიათებენ მოლაპარაკების ძირითად აზრს ვარშავის გაზეთები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხვედრამ, წერს პოლონეთის „**ტრიბუნა ლუდუ**", არსებითი წვლილი შეიტანა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გარდაქმნის პროცესს, როგორც დამაჯერებლად ცხადყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის შეხვედრამ, კვლავაც მოსდევს ახალი კონსტრუქციული შედეგები, წერს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „**რუდე პრავო**".

„სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ დაძაბულობის შენელების კურსს. განხორციელდა სასარგებლო მუშაობა საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის. ვლადივოსტოკის რაიონში გამართული შეხვედრა ნაყოფიერი იყო, — ხაზს უსვამს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „**ნოიეს დოიჩლანდი**".

კუბის „**ხუვენტუდ რებელდე**" ხაზს უსვამს: ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველაფერი იღონონ, რათა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის კეთილნაყოფიერად განვითარების პროცესი შეუქცევადი გახდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

შვეციის გაზეთები აგრეთვე ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის წარმატებასა და შეხვედრის დროს მიღწეული შედეგების მნიშვნელობას.

„განცხადება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხზე და ვლადივოსტოკის მთელი ატმოსფერო ცხადყოფენ, რომ ლ. ი. ბრეჟნევისა და ჯ. ფორდის უმაღლესი დონის პირველი შეხვედრა მეტად წარმატებული აღმოჩნდა", — წერს „**სვენსკა დაგბლადეტი**".

„ფორდმა და ბრეჟნევმა, — წერს ინგლისის „**დეილი ტელეგრაფი**", — იმედი მისცეს ხალხებს, როცა პრინციპულად შეთანხმდნენ შეიმუშაონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის გეგმა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მტკიცე განცხადება შთამბეჭდავია და გაოცებასაც კი იწვევს".

„**დეილი მეილი**" მოლაპარაკებაზე მიღწეულ შეთანხმებას „სენსაციურს" უწოდებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მსოფლიოს შეუძლია უკეთესი მომავლის იმედი იქონიოს".

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულია უდიდესი მნიშვნელობის შეთანხმებანი, წერს საფრანგეთის „**ლუმანიტე**". ეს შეთანხმებანი „საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მთელი მსოფლიოსათვის, მეტადრე ევროპის კონტინენტისათვის, რადგან ხელს უწყობს თერმოატომური კონფლიქტის საფრთხის შემდგომ შენელებას". „ვლადივოსტოკის შეხვედრას მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების თაობაზე ახლავს უწინდელთან შედარებით უფრო კონკრეტული ვალდებულებანი, რომ გამონახავენ კონფლიქტების, კერძოდ ახლო აღმოსავლეთსა და კვიპროსში მომხდარი კონფლიქტების მოწესრიგების გზებს, აგრეთვე განაახლებენ ისეთ უმნიშვნელოვანეს მოლაპარაკებებს, როგორიცაა ჟენევისა და ვენის მოლაპარაკებანი, — წერს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

დასავლეთ გერმანიის პრესა შეხვედრის შედეგებს იუწყება დიდი სათაურებით: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სსრ კავშირმა გამოიტანეს საერთო დასკვნა: რაკეტული შეიარაღება უნდა შეიზღუდოს. წარმატება ვლადივოსტოკის უმაღლესი დონის შეხვედრაზე" („**ნოიე რაინ ცაიტუნგი**"), „ფორდი და ბრეჟნევი შეთანხმდნენ შეზღუდონ ატომური შეტევითი პოტენციალი" („**ზიუდდოიჩე ცაიტუნგი**"), „ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი მხარს უჭერენ გამალებული რაკეტული შეიარაღების შეწყვეტას" („**ვესტფელიშე რუნდშაუ**").

„ვლადივოსტოკის შეხვედრამ, — აღნიშნავს იაპონიის „**იომიური**", — კვლავ დაადასტურა ორი ქვეყნის მტკიცე გადაწყვეტილება და მხურვალე მისწრაფება განაგრძონ თავიანთ ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების კურსი. ამ მოლაპარაკების შედეგად ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას შეექმნა მტკიცე ბაზა — ეპოქალური შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შემცირების თაობაზე შემდგომი მოლაპარაკების შესახებ". (საკდესი).

რუმინეთის კომპარტიის XI ყრილობა

ბუქარესტი, 25 ნოემბერი. (საკდესი). პარტიის XI ყრილობა მიმდინარეობს მთელი ხალხის აღფრთოვანებისა და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების საქმეში, განაცხადა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც მოხსენება გააკეთა რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობაზე. ამ გეგმას, თქვა მან, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუმინეთის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებაში. ხუთწლედის მანძილზე მწყობრში ჩადგება 2.400-ზე მეტი ახალი სამრეწველო ობიექტი, ძირითადი ფონდების მოცულობა გაიზრდება 420 მილიარდი ლეით, რაც 2,5-ჯერ აღემატება პირველი სამი ხუთწლედის განმავლობაში მიღებულ მთელ მატებას. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის დარგშიც, რომელიც ახლა იძლევა ორჯერ მეტ პროდუქციას, ვიდრე ომამდელ პერიოდში.

ნ. ჩაუშესკუმ გააანალიზა საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მსოფლიოში ჩქარდება ძალთა თანაფარდობის შეცვლის რევოლუციური პროცესი სოციალური პროგრესის სასარგებლოდ, იმ ძალების სასარგებლოდ, რომლებიც იბრძვიან უკეთესი და უფრო სამართლიანი მშვიდობისათვის, „ცივი ომის" პოლიტიკიდან თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლის პროცესი. ამაში, ხაზი გაუსვა რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, დიდია სოციალისტური ქვეყნების, საბჭოთა კავშირის დამსახურება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ცხოვრებაში.

ჩვენი ქვეყანა, თქვა მომხსენებელმა, გამოდის რა დაძაბულობის შენელების კურსის განხორციელებისათვის, თანამიმდევრულად აყენებდა პირველ პლანზე ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარებას. ამ პერიოდში განახლდა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებები სსრ კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან.

მსურს კიდევ ერთხელ დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო სსრ კავშირთან ურთიერთობის განვითარება, რომელსაც ახლა პირველი ადგილი უკავია რუმინეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში, თქვა ნ. ჩაუშესკუმ. ჩვენ გვსურს ამ ყრილობაზეც დავადასტუროთ, რომ რუმინეთის კომუნისტური პარტია, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა კვლავაც მთელი სიმტკიცით შეუწყობენ ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს შეესაბამება ორივე პარტიისა და ხალხის, ქვეყნად სოციალიზმისა და მშვიდობის საქმის ინტერესებს.

რუმინეთი, თქვა შემდეგ რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპის კონტინენტზე ახალი ურთიერთობის დამყარებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სრულიად ევროპის თათბირის მოწყობამ ორ ეტაპად დადებითი შედეგები მოგვცა. რუმინეთი მხარს უჭერს ამ თათბირის მესამე ეტაპის მოწყობას უმაღლეს დონეზე.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ყრილობის დირექტივებს 1976-1980 წლების ხუთწლიანი გეგმისა და ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების 1981-1990 წლების მთავარი მიმართულებების შესახებ. ახალი ხუთწლედის ძირითადი ამოცანა, თქვა მან, იქნება სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მთელი საზოგადოების შემდგომი სწრაფი განვითარება.

რუმინეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის განვითარება მოითხოვს სხვა ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოებას, მათთან ფართო საწარმოო კოოპერირებას. რუმინეთი წინა პლანზე აყენებს ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოებას ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან, რომლებზეც კვლავაც მოვა მისი საგარეო ვაჭრობის მთავარი წილი.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო რუმინეთის კომუნისტური პარტიის პირველი პროგრამის პროექტს, რომელიც გამოტანილია ყრილობის დელეგატთა განსახილველად. პარტიის პროგრამას, თქვა მან, სამართლიანად შეიძლება ეწოდოს რუმინეთის ხალხის პროგრამა კომუნისტური ცივილიზაციის ნათელი მწვერვალების მიღწევისათვის.

გუშინდელ საღამოს სხდომაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. პ. კირილენკომ რუმინეთის კომუნისტური პარტიის XI ყრილობას გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რასაც მქუხარე ხანგრძლივი ტაშით ფეხზე ამდგარი შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები.

შემდეგ რუმინეთის კომპარტიის XI ყრილობას თავიანთი პარტიებისა და ორგანიზაციების მისალმებები და წერილები გადასცეს სხვა ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების, სოციალისტური პარტიების, პროგრესული და განმათავისუფლებელი მოძრაობების დელეგაციათა მეთაურებმა.

რუმინეთის კომპარტიის ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

მადლობა მასპინძლობისათვის

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰ. კისინჯერმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც მადლობას უძღვნის ვლადივოსტოკის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს გაწეული მასპინძლობისათვის. დარწმუნებული ვარ, აღნიშნულია დეპეშაში, რომ პრეზიდენტ ფორდისა და გენერალური მდივნის ბრეჟნევის ეს შეხვედრა ნიშანსვეტია ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაში. იგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების გზაზე და ხელს შეუწყობს მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში. (საკდესი).

მოლაპარაკება პეკინში

პეკინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი, რომელიც აქ ვიზიტით იმყოფება, პეკინში ჩამოსვლის შემდეგ ერთ-ერთ საავადმყოფოში შეხვდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის. დღეს პეკინში დაიწყო ჰ. კისინჯერის მოლაპარაკება ჩინეთის მხარესთან, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე დენ სიაო-პინი.

სახელმწიფო მდივნის პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ციაო გუან-ჰუამ განაცხადა: კისინჯერის ვიზიტი „ჩვენს ორივე მხარეს საშუალებას მისცემს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ აზრები ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისა და საერთაშორისო საკითხების შესახებ". მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეს ვიზიტი შეიტანს წვლილს შანხაის კომუნიკეში ჩამოყალიბებული პრინციპების შემდგომი განხორციელების საქმეში". საპასუხო სიტყვაში ჰ. კისინჯერმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესის დაწყება და ამ ურთიერთობის განვითარება, რომელიც მას მოჰყვა, კონიუნქტურული ანგარიში კი არა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მყარი პრინციპია. აქ ჩამოვედი, თქვა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, რათა განვაგრძო ეს პროცესი.

გარდაიცვალა უ ტანი

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). აქ 65 წლის ასაკში გარდაიცვალა უ ტანი.

უ ტანი, რომელიც 1962 წლის ნოემბრიდან 1971 წლის დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იყო, იღწვოდა მშვიდობის განმტკიცებისათვის, განიარაღებისათვის, კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობისათვის, ბევრჯერ დაუჭერია მხარი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკისათვის და მოითხოვდა სადავო საერთაშორისო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას.

უ ტანი რამდენჯერმე იყო საბჭოთა კავშირში როგორც ბირმის მთავრობის მინისტრი და როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. იგი არჩეული იყო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოქტორად.

უ ტანის გარდაცვალების გამო გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის სამგლოვიარო სხდომა.

გასტროლებზე პოლონეთში

პირველი საზღვარგარეთული

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ გასტროლებზე. ეს მუსიკალური კოლექტივი კონცერტებს გამართავს პოლონეთში. კრაკოვის, ლოძის, ჩენსტოხოვისა და რადომის მსმენელები შეხვდებიან ქართველ მუსიკოსებს. ორკესტრთან ერთად პოლონეთში გამოვლენ საქართველოს სახალხო არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მარინე იაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ ამირეჯიბი, აგრეთვე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი ბ. კვერნაძე, რომლის სუიტა „ბერიკაობა“ შეტანილია სიმფონიური კონცერტების პროგრამაში.

საგასტროლო მოგზაურობისათვის კოლექტივმა მოამზადა საინტერესო პროგრამა. პოლონეთში აჟღერდება ო. თაქთაქიშვილის „იუმორესკა“, შ. მშველიძის „მზის ამოსვლა“, ს. ნასიძის სავიოლინო კონცერტი, რ. ლაღიძის „საჭიდაო“, გ. ყანჩელის № 3 სიმფონია, აგრეთვე რუსი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი კლასიკოსების ნაწარმოებები.

— საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტები პოლონეთში მეტად პასუხსაგები და ამასთან სასიხარულო მოვლენაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა დირიჟორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯ. კახიძემ. — პოლონეთში კარგად იცნობენ ქართულ მუსიკას, დიდი წარმატება ხვდა ზ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერს“, რომელიც ლოძის საოპერო თეატრში დაიდგა. ბედნიერი ვარ, რომ შემთხვევა მექნება შევხვდე პოლონელ მსმენელებს, გამოვიდე იმ ქვეყანაში, სადაც რამდენიმე წელს ვიმუშავე.

ახლახან თბილისში დიდი წარმატებით გამოვიდა ლოძის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. ქართველმა მსმენელებმა ღირსეულად შეაფასეს პოლონელ მეგობართა ოსტატობა. ეს გაცვლითი კონცერტები ხელს უწყობენ ჩვენი ხალხების იმ მეგობრობის განმტკიცებას, რომელსაც დიდი ხნისა და უმდიდრესი ტრადიციები აქვს.

მეტროლოგები —სახალხო მეურნეობას

რესპუბლიკური კონფერენცია

თბილისში გაიმართა მეტროლოგიის დარგის სპეციალისტთა მესამე რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: გაზომვათა ერთეულების დადგენა, ეტალონებად წოდებული უზუსტესი ნიმუშების სახით მათი შექმნა, ზუსტი გაზომვების მეთოდიკების შემუშავება. ცოდნის ამ დარგში მოპოვებული წარმატებანი წარმოების მუშაკებს საშუალებას აძლევს გამოუშვან სამრეწველო პროდუქცია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს შეესაბამება.

კონფერენციაში, რომელიც მოაწყო საბჭოთა კავშირის დ. ი. მენდელეევის სახელობის მეტროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თბილისის ფილიალმა, მონაწილეობდნენ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ამ დარგის ბევრი დიდი სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები.

— კონფერენციის მოწყობა დაემთხვა მეტროლოგიის დარგში საქართველოს სამეცნიერო ცენტრის შექმნას, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ზედგინიძემ — სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ მთელი ამ დროის მანძილზე ქართველ მეტროლოგ მეცნიერთა კოლექტივს მეტად მჭიდრო ურთიერთობა აქვს რესპუბლიკისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკებთან. ინსტიტუტში მთავრდება კვლევა მეცნიერებისა და პრაქტიკის საჭიროებისათვის გათვალისწინებული საზომი ტექნიკის მოწყობილობის შექმნით. ამას მკაფიოდ ადასტურებენ განსახილველად წარმოდგენილი მოხსენებანიც. მათ შორის ნახევარზე მეტი, სხვადასხვა მოწყობილობის აღწერის თეორიული გამოანგარიშების გარდა, შეიცავს ხელსაწყოებს, საზომ კომპლექსებს, რომლებსაც უკვე ფართოდ იყენებენ პრაქტიკაში. (საქინფორმი).

ამინდი

მთაში თოვლი მოვიდა

შემოდგომა მიიწურა. გამშრალდა წვიმიანი ამინდი, დაუბერა სუსხიანმა ქარმაც და ჰაერში აფარფატდა ათასფრად შეფერადებული ფოთლები. მთებში თოვლი მოვიდა, თეთრად შემოსილ ტყეებში სიჩუმემ დაისადგურა. ზამთრის პირი დადგა.

აი როგორ გვიხსნიან ამ მოვლენას სინოპტიკოსები:

17-დან 24 ნოემბრამდე საქართველოში თბილი ამინდები იდგა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა იყო 23 ნოემბერს. ამ დღეს დასავლეთ საქართველოს ბარში აღინიშნა 18-20 გრადუსი სითბო, მთაში — 11-13, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 13-15, ხოლო მთაში 10-12 გრადუსი.

24 ნოემბრიდან ამინდი მკვეთრად შეიცვალა. ჩრდილოეთის რაიონებიდან სამხრეთისაკენ ცივი ჰაერის ფენებმა იწყეს გავრცელება, ამ ცივმა ჰაერმა გამოიარა საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორია და საქართველოში როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთის მხრიდან იწყო შემოჭრა. ამან გამოიწვია წვიმები და მთაში თოვლი.

თოვლი მოვიდა მესტიაში, წიფაში, ხულოში, აბასთუმანში, ცხინვალში, მანგლისში, წალკაში, დუშეთში, თიანეთში, ჯვრის უღელტეხილზე თოვლის საფარმა ნახევარ მეტრს მიაღწია, ტემპერატურაც საგრძნობლად დაეცა.

დღეს, 27 ნოემბერს, **დასავლეთ საქართველოში** უმეტესად უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ტემპერატურა ბარში 6-11, მთაში — 1-6 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მცირე ნალექი იქნება, მთებში თოვლი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში 5-9 გრადუსი სითბო, მთაში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

მომდევნო დღეებში დასავლეთ საქართველოში ზოგან მცირე ნალექია მოსალოდნელი, ტემპერატურა 7-12 გრადუსი სითბო, აღმოსავლეთ საქართველოში დროგამოშვებით ნალექი, ტემპერატურა — 2-7 გრადუსი სითბო.

უშიშარი რევოლუციონერი

პავლე მარდალეიშვილის დაბადების 90 წლისთავი

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების რევოლუციონერთა სახელოვან პლეადაში თვალსაჩინო ადგილი უკავია მშრომელთა ნათელი მომავლისათვის თავდადებულ მებრძოლს, პროფესიონალ რევოლუციონერს პ. მარდალეიშვილს.

პავლე იოსების-ძე მარდალეიშვილი დაიბადა 1884 წლის 1 (13) ნოემბერს ქუთაისის მაზრის სოფელ მაღლაკში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი სოფლის ორკლასიან სკოლაში სწავლობდა, მაგრამ სიღარიბის გამო სასწავლებელი ვერ დაამთავრა და გაემგზავრა ჭიათურაში, სადაც ზეინკლად დაიწყო მუშაობა. ამ დროს ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშათა მრავალრიცხოვანი არმია ექსპლოატატორთა წინააღმდეგ საგაფიცვო ბრძოლას ეწეოდა. პ. მარდალეიშვილი დაუახლოვდა მოწინავე მუშებს და მალე პირველი რევოლუციური ნათლობაც მიიღო.

რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ დღეებში იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა, დაუღალავად ასრულებდა პარტიის დავალებებს და იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი სიმამაცითა და გამბედაობით. 1905 წელს პ. მარდალეიშვილი რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა დაბა ხონში გაგზავნა. იგი მუშაობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში და აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ საქმიანობაში.

1906 წელს პ. მარდალეიშვილს, როგორც მებრძოლი რაზმის წევრს, სხვადასხვა სახიფათო ოპერაციების შესრულება უხდებოდა. 1906 წლის აგვისტოში იგი დააპატიმრეს, ხოლო 1907 წლის 27 ივლისს ვიატკის გუბერნიაში გადაასახლეს. მაგრამ გადასახლებიდან მალე გამოიქცა და ფოთში არალეგალურად ცხოვრობდა. რეაქციის შავბნელ წლებში პ. მარდალეიშვილი მისთვის ჩვეული გამბედაობით, ენერგიულ, რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა. იგი პარტიული ორგანიზაციის დავალებების შესასრულებლად საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობდა. 1909 წლის 2 იანვარს პ. მარდალეიშვილი კვლავ დააპატიმრეს, მან მოახერხა ციხიდან გაქცევა, მაგრამ ისევ შეიპყრეს. 1914 წლის 24 ნოემბერს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ პ. მარდალეიშვილს მუდმივი კატორღა მიუსაჯა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მამაც ბოლშევიკს შლისელბურგის ციხის ჯურღმულებში მოუსწრო.

1917 წლის გაზაფხულზე პ. მარდალეიშვილი საქართველოში დაბრუნდა.

1919 წლის 13 სექტემბერს პ. მარდალეიშვილმა არკადი ელბაქიძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო თეთრგვარდიელ გენერალ ნ. ბარათოვზე თავდასხმაში. მაშინ პავლე მტრის კლანჭებს დაუსხლტა და მიიმალა, მაგრამ შემდეგ ამ საქმის გამო მაინც დააპატიმრეს. რუსეთის სფსრ-სა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობას შორის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე 1920 წლის 14 მაისს სხვა ბოლშევიკებთან ერთად იგი გაანთავისუფლეს, მაგრამ ივლისში კვლავ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ყოფილი მენშევიკური მთავრობა თბილისიდან ქუთაისში გაიქცა და თან წაიყვანა დაპატიმრებულ ბოლშევიკთა ერთი ჯგუფი, მათ შორის იყვნენ პ. მარდალეიშვილი და ნ. ივანოვი, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წელს ბოლშევიკების მებრძოლ ჯგუფში მუშაობის დროს დამეგობრდნენ. დაპატიმრებული ბოლშევიკები ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს, სადაც დიდი დამცირება და წამება გადაიტანეს. 10 მარტს გამთენიისას ყოფილი მენშევიკური მთავრობა ბათუმში გაიქცა. წასვლისას მათ პატიმარ ბოლშევიკებზე საშინლად იძიეს შური: პ. მარდალეიშვილი და ნ. ივანოვი ბარბაროსულად აწამეს და შემდეგ ქუთაისის მახლობლად ტყეში დახვრიტეს.

ელვის სისწრაფით მოედო მთელს საქართველოს ეს შემზარავი ამბავი, რამაც მშრომელი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუთაისის მშრომელებმა თავდადებული რევოლუციონერების — პ. მარდალეიშვილისა და ნ. ივანოვის ცხედრები დიდი პატივით დაკრძალეს.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს პ. მარდალეიშვილისა და ნ. ივანოვის ღვაწლი; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის ისინი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით, ერთ-ერთ ქუჩას ქუთაისში მიეკუთვნა ივანოვ-მარდალეიშვილის სახელი, მათ საფლავზე კი მემორიალური დაფა დადგეს.

სოციალიზმის გამარჯვებისათვის გმირ მებრძოლთა სახელები საბჭოთა ხალხმა შარავანდედით შემოსა და მუდამ დიდებით მოიხსენიებს.

ზ. გეგეშიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ბუნების საოცრება

მთვარის სრული დაბნელება

29 ნოემბერს მზის ჩასვლისთანავე აღმოსავლეთიდან ამონათებს წრიული სახის სავსე მთვარე. ამგვარი მოვლენა ყოველთვიურად მეორდება, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვექნება საქმე: საღამოს 5 საათსა და 29 წუთზე (თბილისის დროით) დაიწყება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება — თეთრად განათებული მთვარის ზედაპირი აღმოსავლეთ ნაპირიდან თანდათანობით დაიფარება დედამიწის მუქი მოწითალო ფერის ჩრდილით. 6 საათსა და 36 წუთზე მთვარე მთლიანად დედამიწის ჩრდილში აღმოჩნდება — დაიწყება მთვარის სრული დაბნელება, რომელიც გაგრძელდება 7 საათსა და 52 წუთამდე. შემდეგ მთვარე თანდათანობით გამოვა დედამიწის ჩრდილიდან, პირველად მისი აღმოსავლეთი ნაპირი გამოჩნდება, მოხდება ისევ ნაწილობრივი დაბნელება, რომელიც დამთავრდება 8 საათსა და 59 წუთზე. შემდეგ ის ჩვეულებრივად (სავსე მთვარე) გაანათებს არემარეს.

რა არის მთვარის დაბნელების მიზეზი?

დედამიწის ჩრდილი საღამოობით ყოველთვის ჰორიზონტალურ სიბრტყეშია აღმოსავლეთ მიმართულებით, დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრი მთვარე, მოძრაობს რა დედამიწის გარშემო, სახეს იცვლის. როცა ის მზის ჩასვლისას ამოდის, მაშინ ყოველთვის სავსე მთვარის სახით მოჩანს. ამ დროს მზის სხივებით ჩვენკენ მოქცეული მთვარის ნახევარი მთლიანად განათებულია. ამრიგად, სავსე მთვარე ყოველთვის მოძრაობს დედამიწის ჩრდილის მახლობლად, ზოგჯერ კიდეც გაივლის დედამიწის ჩრდილში, რასაც მოსდევს მისი დაბნელება.

რატომ იღებს მთვარე მოწითალო ფერს დაბნელებისას? მზის სხივების ნაწილი გაივლის დედამიწის ატმოსფეროში, გაიღუნება და შეიჭრება დედამიწის ჩრდილში. ასეთი მხოლოდ მოწითალო სხივებია (სხვა ფერის სხივები შთაინთქმება დედამიწის ატმოსფეროში), რომელიც მთვარეს მუქ-მოწითალო ფერს აძლევს.

როგორ იგებენ წინასწარ მთვარის დაბნელებას? ძველად მთვარის დაბნელების, აგრეთვე მზის დაბნელების მიზეზი არ იყო ზუსტად შესწავლილი. ამიტომ ხშირ შემთხვევაში მთვარისა და მზის დაბნელებები მოულოდნელად ხდებოდა, რასაც პანიკა მოჰყვებოდა. ამჟამად გამორკვეულია, რომ მთვარის დაბნელების მიზეზია დედამიწის ჩრდილი, ხოლო მზის დაბნელებისა კი — მთვარის ჩრდილი. თანამედროვე ასტრონომიისათვის დედამიწისა და მთვარის მოძრაობა საკმაო სიზუსტით არის ცნობილი. ამ სხეულთა მოძრაობის თეორიები საშუალებას იძლევა წინასწარ გავიგოთ, მაგალითად, რა მანძილზე გაუვლის მთვარე დედამიწის ჩრდილს. ამის მიხედვით შესაძლებელია წინასწარ გამოვთვალოთ, როდის მოხდება მთვარის დაბნელება და როგორი იქნება იგი. ასეთივე გზით წარმოებს მზის დაბნელების წინასწარი გამოთვლა. გამოთვლის შედეგებს წინასწარ აქვეყნებენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

ა. ფურცხვანიძე,
დოცენტი.

წიგნის თარო

გერმანე ზაქარიაძე — ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი. ნაშრომში შესწავლილია საქართველოში ლენინიზმის გავრცელების, დამკვიდრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბების პროცესი, ნაჩვენებია ქართველ ლენინელთა თეორიულ-პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. რედაქტორები — მ. ჯიჯეიშვილი, მ. ცერაძე, მხატვარი გ. ნადირაძე; გამომცემლობა „მეცნიერება“.

გიორგი ბერიძე, თემურ ღლონტი — ქართველი მევენახეები. წიგნის პირველ ნაწილში გადმოცემულია ქართული მევენახეობის მოკლე ისტორია, ხოლო მეორე ნაწილში მოთხრობილია გამოჩენილ ქართველ მევენახეთა მოღვაწეობა და ნაჩვენებია მათი როლი სამამულო მევენახეობის განვითარებაში. რედაქტორია ც. უნდილაშვილი, მხატვარი — ა. სამუშიელი; გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

„მერანმა“ სერიით — „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ“ — გამოუშვა ხუტა ბერულავას ახალი ლექსების კრებული, რომელიც პოეტმა ხუთწლედის დიად გარდაქმნებს მიუძღვნა. კრებულს ამშვენებს პოეტის ლექსები „მოსკოვი“, „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, „კომუნისტები“, „წინ ყამირელებო ქართული მიწისა“ (მხატვარი სპ. ცინცაძე).

„მერანმა“ დასტამბა აგრეთვე ოთარ მამფორიას ლექსთა კრებული ამავე სერიით. მკითხველი ინტერესით შეხვდება პოეტის ახალ ლექსებს — „ხმალი და ვაზი“, „გადაძახილი მომავლისაკენ“, „ასომთავრული“. (კრებულის მხატვრები — გ. კალაძე, სპ. ცინცაძე).

ამ სერიითვე გამოვიდა მწერალ ვანო ურჯუმელაშვილის დოკუმენტური მოთხრობებისა და ნარკვევების კრებული, რომლის მთავარი გმირები არიან ხუთწლედის გმირები, მშრომელი ადამიანები. კრებულში შესულია „თბილისის გაზაფხული“, „ყოჩაღ, ნანული, ყოჩაღ“, „კომისარი“, „ქართული სოფელი სტეპებში“ და სხვ. (მხატვარი ა. თოდრია).

„დრუჟბას“ ფურცლებზე

მოსკოვში რუსულ და ბულგარულ ენებზე გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ალმანახი „დრუჟბა“. ეს გამომცემლობების „მოლოდაია გვარდიასა“ და „ნაროდნა მლადეჟის“ (ბულგარეთი) ერთობლივი გამოცემაა.

ახლახან გამოვიდა ამ ალმანახის 1974 წლის მე-4 ნომერი, რომლის პოეზიის განყოფილებაში საბჭოთა და ბულგარელი პოეტების გვერდით დაბეჭდილია ბერდია ბერიაშვილის ლექსები მოკლე ანოტაციითა და ავტორის პორტრეტით. რუსულ ენაზე დაბეჭდილი ოთხი ლექსი ვ. სოკოლოვის მიერ არის თარგმნილი, ხოლო ბულგარულად დაბეჭდილი შვიდი ლექსი — ნ. კონჩევის მიერ.

ერთი რაიონის საავადმყოფოში



სოფლის მცხოვრებლებს სამედიცინო დახმარება უნდა გაეწიოთ ისეთივე დონეზე, როგორც ქალაქელებს. ეს ამოცანა დაუსახა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. [illegible] ლური ხდება. უკვე ახლა სოფლის მოსახლეობის ჰოსპიტალიზაციის დონე დაუახლოვდა ქალაქურს. მაიაკოვსკი, ისევე როგორც რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონები, ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

მაიაკოვსკის რაიონის ცენტრალური საავადმყოფო აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობით, მას აქვს თერაპიის, ქირურგიის, ბავშვთა, გინეკოლოგიის, ფიზიოთერაპიის, ინფექციური განყოფილებანი. საავადმყოფოს შტატშია უროლოგი, ოტოლარინგოლოგი, ტრავმატოლოგი, ოფთალმოლოგი. მუშაობენ ფუნქციური დიაგნოსტიკის, ელექტროკარდიოგრაფიის, რენტგენის კაბინეტები; კლინიკურ-დიაგნოსტიკური, ბიოქიმიური, ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები.

საავადმყოფოსთან მუშაობს პოლიკლინიკა 500 ავადმყოფის მისაღებად.

• • •

სურათებზე: რაიონული საავადმყოფოს შტატშია 55 ექიმი. ყოველდღიურ დილის კონფერენციებზე, რომლებსაც ატარებს რაიონისა და საავადმყოფოს მთავარი ექიმი ზ. აბაშიძე, არჩევენ საინტერესო შემთხვევებს, აზუსტებენ დღის გეგმებს; რაიონის მთავარი ქირურგი გ. ბაბუხადია ოპერაციას აკეთებს. მისი ასისტენტები არიან ქირურგები ნ. ჩხეიძე და შ. მშვილდაძე. ნარკოზის მოქმედებას თვალს ადევნებს ანესთეზიოლოგი ნ. შავგულიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპორტი

საოცარი წარმატება

ამერიკის პრესა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ტურნეს შესახებ

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში საჩვენებელი გამოსვლით დაამთავრა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ნაკრებმა თვრამეტდღიანი ტურნე ამ ქვეყანაში. „განსაცვიფრებელი წარმატება“, „დიდებულია!“, — ასე ერთსულოვნად ახასიათებენ ხოტბას სტუმრებს ფილადელფიის, სან-ფრანცისკოს, ლოს-ანჯელესის, ნიუ-იორკის, ბოსტონის, კლივლენდისა და ვაშინგტონის გაზეთები, სადაც კი გამოვიდნენ საქვეყოდ ცნობილი საბჭოთა ოსტატები.

ათასობით ვაშინგტონელი მქუხარე ტაშით მიესალმა საბჭოთა სპორტსმენების საჩვენებელ გამოსვლას. „გრაციამ, ოსტატობამ და სიზუსტემ პირდაპირ გააოცა მაყურებლები, — წერს დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“, — ე. საადიმ, ნ. დრონოვამ, ო. კორბუტმა, ნ. კიმმა, ნ. ანდრიანოვმა და გუნდის სხვა წევრებმა ჩამოიტანეს პროგრამა, რომლის ლანახვაც პირდაპირ სუნთქვას გიკრავთ. მხატვრული ტანვარჯიშის წარმომადგენლების გ. შუგუროვას და გ. შატროვას გამოსვლები იმდენად გრაციოზული იყო, რომ ბალეტის ვარსკვლავების ხელოვნებას უფრო მოგაგონებდათ“.

ფეხბურთი

სამი საგზურისათვის

სოჭში, ადლერსა და ხოსტაში მიმდინარეობს მეორე ლიგის გუნდების დასკვნითი ტურნირი პირველი ლიგის სამი საგზურისათვის. გუნდებმა უკვე გამართეს სამ-სამი თამაში.

გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობს ფრუნზეს „ალგა“, რომელმაც ადლერში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ყარაგანდის „შახტიორი“ და 5 ქულა დააგროვა. სამ-სამი თამაშიდან თითო მოგება, თითო ფრე და წაგება აქვთ ყაზანის „რუბინს“, გროზნოს „თერეკს“ და ყარაგანდის „შახტიორს“, ხარკოვის „მეტალისტსა“ და „იანგიერს“ ორ-ორი ქულა აქვთ (ორ-ორი ფრე, თითო წაგება).

კალათბურთი

კვლავ ტტტ

ვილნიუსსა და ბაქოში ერთგვარი საშუალედო ფინიში ჰქონდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატს. — გუნდებმა ხუთ-ხუთი მატჩი ითამაშეს და გათამაშების პირველი ნახევარი დაამთავრეს.

წელს კვლავ ჩვეული წარმატებით თამაშობს საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი — რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი — ტტტ, რომელმაც ხუთივე შეხვედრა მოიგო, ვილნიუსის ჯგუფში. ოთხ-ოთხი მოგება აქვთ ამ ჯგუფის მასპინძლებს „კიბირკშტისის“ კალათბურთელებს და ბაქოელებს — შარშანდელ ჩემპიონს ლენინგრადის „სპარტაკსა“ და მათს თანაკლუბელებს მოსკოვის ოლქიდან.

უარი...

ბელგრადი. როგორც საკდესის კორესპონდენტი იტყობინება, იუგოსლავიის ფიზიკური კულტურის კავშირმა გამოაცხადა, რომ უარს ამბობს 1975 წლის უნივერსიადა ჩატარდეს ბელგრადში, რაც ადრე იყო გათვალისწინებული.

მ. ჯუღელი—საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი

ცნობილ ქართველ ტანმოვარჯიშე ქალს — სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული ოსტატობის გ. რცხილაძის სახელობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის დირექტორს მზია ჯუღელს მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება სპორტულ ტანვარჯიშში.

პ. წოწორია

გარდაიცვალა [illegible] წლიდან პერსონალური პენსიონერი [illegible] წოწორია.

პ. წოწორია დაიბადა 1890 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ინჩხურში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1904-1911 წლებში მუშაობდა თბილისში მუშად და ქ. ტუაფსეში ნავსადგურის მშენებლობაზე. იმ წლებში დაუკავშირდა რევოლუციურად განწყობილ მუშებს. 1911 წელს მეფის არმიაში გაიწვიეს, სადაც არჩეული იყო ესკადრონისა და პოლკის რევოლუციური კომიტეტის წევრად. დემობილიზაციის შემდეგ ჩაება აქტიურ რევოლუციურ მუშაობაში. 1918 წლის თებერვალში სოფელ ინჩხურში აირჩიეს არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

1919 წლის მაისში პ. წოწორია იძულებით გაიყვანეს მენშევიკურ არმიაში, ახალციხეში ჩასვლისთანავე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში, არალეგალურად აგროვებდა საბრძოლო იარაღს, რისთვისაც პოლკის სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. იგი მენშევიკური არმიიდან გამოიქცა და იარაღით იბრძოდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 1921-1922 წლებში პ. წოწორია იყო მარტვილის რაიონის რევოლუციური კომიტეტის წევრი, მარტვილის თემის რევკომის თავმჯდომარე. შემდგომ წლებში იყო სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

პ. წოწორია დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, საბრძოლო და შრომითი დამსახურებისათვის მიღებული ჰქონდა მედლები და სიგელი.

ძველი ბოლშევიკის, პატიოსანი ადამიანის პ. წოწორიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კვარიკ მოხდა, ვინ არის დამნაშავე?!

ახირების სავალალო შედეგი

ტყვარჩელის ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომელს მ. წურწუმიას ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფში ნათესავი გარდაეცვალა და დაკრძალვაზე წასასვლელად ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობას ავტობუსი სთხოვა. საწარმოს ხელმძღვანელობა არ დაინტერესებულა, თუ როგორ გზაზე მოუწევდა ავტობუსს მოძრაობა, და წურწუმიას ავტომანქანა მისცა. მძღოლი გ. ლაკერბაია ავტობუსით გზას დაადგა. ავტომანქანაში ოცდაათი მგზავრი იყო. ცენტრალური გზიდან ავტობუსმა ოტაფის სასოფლო გზაზე გადაუხვია, რომელზეც ავტობუსის მოძრაობა სრულიად დაუშვებელია.

ერთ-ერთ ციცაბო აღმართის წინ მძღოლმა გ. ლაკერბაიამ ავტობუსი გააჩერა და მგზავრებს სთხოვა ფეხით განეგრძოთ გზა, სოფლამდე კილომეტრნახევარი მანძილი იყო, ავტობუსი ვერ შეძლებდა აღმართის ავლას და შემდგომი მგზავრობა საშიში იყო. მგზავრებმა შორს დაიჭირეს მძღოლის თხოვნა, ავტობუსიდან ფეხი არ მოიცვალეს და აიძულეს მძღოლი საშიშ გზას დასდგომოდა. ციცაბო აღმართზე ავტობუსის გადატვირთვის გამო ძრავი ჩაქრა. მგზავრები დარწმუნდნენ, რომ ავტობუსს არ შეეძლო აღმართის დაძლევა, მაგრამ ავტობუსიდან გადმოსვლას არავინ აპირებდა. მძღოლი შეეცადა მოემართა ავტომანქანა, მაგრამ ავტობუსი დაგორდა და მგზავრებიანად ხევში გადაიჩეხა.

საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა, 17 მგზავრი დაშავდა და საავადმყოფოში წასაყვანი გახდა. 10 მგზავრი სამედიცინო დახმარების შემდეგ შინ გაუშვეს, ხოლო 7 საავადმყოფოში მოათავსეს. ამ ავარიას უფრო მძიმე შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

ასე სავალალოდ დასრულდა მგზავრების ახირება და ტყვარჩელის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობის (უფროსი ი. კაკუბავა) მიერ ავტობუსის დაუკვირვებლად გაშვება.

ა. ბუხრაშვილი.

ტელევიზია

27 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.30 — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), საინფორმაციო პროგრამის შემდეგ კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.45 — სატელევიზიო ფილმი, 18.05 — განცხადებები, 18.10 — „70-იანი წლების კომუნისტები“, 18.25 — ორი კულტურის მეგობრობა, 18.40 — „სამეურნეო ანგარიში მშენებლობაში“, 18.55 — მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობარი კოლკა“, 20.20 — „საინტერესო ასტრონომიული მოვლენა“, 20.40 — მწერალი და ცხოვრება (განმეორებით), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „საესტრადო პანორამა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), დასასრულ — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მექანიზმებისა და მანქანების თეორიაში, 18.50 — სატელევიზიო ფილმი, 19.50 — „კინოაფიშა“, 20.20 — განცხადებები, 20.25 — მხატვრული ფილმი „ადამიანს სამოქალაქო ტანსაცმელი ჰქვია“.

რადიო

28 ნოემბერი

პირველი პროგრამით

ნუ ვნებთ, ნუ მოვიწამლეთ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტანვარჯიში, 06.35 — ლ. იაშვილი, სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ლ. დელიბი. ბალეტი „კოპელიას“ ნაწყვეტები; 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“. საუბარი „პირველადი პარტიული ორგანიზაციის კონტროლი ადმინისტრაციის საქმიანობაზე“, 12.15 — მღერის ზ. ანჯაფარიძე, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — ბ. კარამიშევი. საორკესტრო ფანტაზია ახალგაზრდული სიმღერების თემებზე, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ო. გორდელი. მუსიკა პიესა „სასტუმროს დიასახლისისათვის“, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ა. ანდრიაშვილი ოპერა „კაკო ყაჩაღის“ ნაწყვეტები, 17.35 — მოსწავლეთათვის. ვ. კრაპივინი „შტურმანი კონოპლიოვი“ მოთხრობა, 18.05 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ს. ტულიკოვი. სიმღერები, 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „პლანეტის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, 19.20 — ა. შავერზაშვილი. პასაკალია და ფუგა, 19.45 — სიმღერები მ. როდოვიჩის შესრულებით, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — ტაჯიკეთის სსრ დაარსებისა და ტაჯიკეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი. ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის რ. ნაბიევის გამოსვლა. რესპუბლიკური რადიოს მუსიკალურ-ლიტერატურული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „გარემოების საყვირი“, 23.30— გ. ცაბაძე სიმღერები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

27 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ხანუმა**; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **კვაჭი კვაჭანტირაძე**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **არშინ-მალ-ალანი.**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 04832 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14